

619
1967



ԷՅՊԵՆ

№ 10 ՄՅՄՅՅՅՅՅՅ 1967



ლენინი — ოქტომბრის ბელადი.

მხატვარი რ. ობერტ სტურუა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ქართული

№ 10 (371) ოქტომბერი, 1967 წ.

გამოცემის წელი 45-ე.

საქართველოს საზოგადოებრივი-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხედავრო ჟურნალი



ფოტო ოტარ თუჩიძისი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებანი. მარქსიზმ-ლენინიზმი გახდა მსოფლიოს ასეულ მილიონობით ადამიანის ფიქრის მპყრობელი, კომუნისტური მოძრაობა თანამედროვეობის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გადაიქცა; ყოველივე ეს შედეგია ისტორიული განვითარებისა, რომელსაც დასაბამი მისცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

და მართლაც, ლენინის უკვადავი იდეები იქცნენ დედამიწის ასეულ მილიონობით ადამიანების ფიქრთა მპყრობლად და ამ იდეებით შეიარაღებულმა ადამიანებმა სასწაულები მოახდინეს ბრძოლაშიც, შრომაშიც, ახლის მშენებლობის ყოველ უბანზე.

ადამიანთა მოღვაწის ისტორია — ტანჯვის, წამებისა და ბრძოლის მატანაა. თაობა თაობას მოსდევდა. მონათმფლობელი — ფეოდალმა შეცვალა. ფეოდალი — ბურჟუამ, მილიონდენ ათეული წლები, საუკუნეები და ადამიანს კვლავ მონის უღელი ედგა ქედზე, მაგრამ მას მულამ სწამდა მომავლის ის დიდი გარიჟრაჟი, ის დიდი გარდატეხა, რომელიც დაამკვიდრებდა თავისუფლების სამყაროს.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ყველაზე წარმატადი ფურცლები განათებული იყო ამ ნატვრით და ოცნებით. და დღეს, რასაც ჩვენს სამშობლოში, ჩვენს ირგვლივ, ყოველ ქალაქსა და სოფელში, ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ, ეს არის ის სონამდვილედ ქცეული ოცნება, რომელიც გამოხატული იყო ხალხის ყველაზე დიდი მესიტყვეების, ყველაზე შესანიშნავი პოეტების ქმნილებებში. რაღა შორს წავიდეთ, გვიხსენოთ ჩვენი დიდი ილია ჭავჭავაძის დაუფიწყარი სიტყვები:

შრომის სუფევა მოვა მამინა,
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით;
მამინ უქმ სიტყვად არ იქნებოან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარება და სათნოება.
აილო აილო ძველმა ქვეყანამ,
რომ დღე-ღამ მისი წყობა ირღვევა
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შევას იგი შრომის სუფევა.
მამინ მამერალო, შენც განკაცდებო.
წარომეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით აპაღლებო,
არც ვის ემონვი, არც ვის იმონებ.

ასევე ნათლად წარმოუდგებოდა აკაკი წერეთელს დღევანდელი საქართველო:

ვხედავ. ვხედავ. მომავალში
გამოსულა მუშად ერი.
ერთმანეთთან შეთანხმებით
ილიერი და ბედნიერი.
გზა გაჰყავს და ხილსაც აგებს,
სისხლითა და ოფლით რწყულსა.
და მომავლის მოიმედ
აღარ იმჩნევს წყულად წყულსა.
გამარჯვება ნამდვილ მუშებს,
ვაშა, ვაშა მომავალსა!
ის ასწორებს დღევანდლების
გამრუდებულ გზა და კვალსა.
გასწორებს და გზას მისცემს,
ტარიელს და ავთანდილსა,



ბათუმის ნავსადგურში.

ამირანის სისხლ-ცრემლებით
ქართველებად გამოზრდილსა.
ნეტავ იმ დროს და მის დამსწრეს,
ზეზეულ ჭგოძნობს ცხონებასა:
არც ისურვებს ბატონობას
და არც ვისმე მონებასა.
აღიარებს მხოლოდ ძმობას.
თანსწორობას, სიყვარულსა
და საზღვარი არ ექნება
მის უმანკო სიხარულსა.

დღეს ყველა ნათლად ხედავს, რომ ჩვენი სახელოვანი თერგდალეულების ამ ოცნებამ ფრთა შეისხა, მათი ეს წინასწარმეტყველება აცხადდა; უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც დამკვიდრდა შრომის სუფევა, მოვიდა იგი ჩვენს მიწაზე „ჭეშმარიტების მის ძლიერებით“; ნახევარი საუკუნეა, რაც „განკაცდა მამერალო“ და ამაღლდა იგი, ის ახლა არც ვის ემონვის და არც ვის იმონებს. ის თავისუფალი და ამაყი ბატონ-პატრონია თავისი ქვეყნის მიწისა და ცისა, თავისი ბედისა და ბედნიერების მჭედელია. ნახევარი საუკუნეა „მუშად გამოსულა ჩვენი ერი“, ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ერი, როგორც აკაკი ნატრობდა. მას გაჰყავს გზა და ხილსაც აგებს ნათელი მომავლისაკენ. ის არ ისურვებს არც ვისმეს ბატონი იყოს და არც ვისმეს მონა, ის აღიარებს მხოლოდ ძმობას, თანასწორობას და სიყვარულს.

ასე ნათლად ხედავდნენ ჩვენი დიდი წინაპრები სამშობლოს მომავალს, მის დღევანდელ დღეს. და ეს მართო ოცნება კი არ იყო, ეს იყო ურუყვი რწმენა, დაფუძნებული ისტორიის კანონების უღრმეს ცოდნაზე.
ასე შესტრფოდნენ შორიდან, გენიალური გან-



10.36x

საქმის საბჭო
საქართველო
ბათუმი



იწყება სამუშაო დღე.

თობის საცხოვრებელი ბინები, რომლებშიც 152 ათასი ახალმოსახლე შევიდა.

საკლამეურნეო წყობილებამ ძირფესვიანად გარდაქმნა ქართველი გლეხკაცის ყოფა. აქაც ყოველ ნაბიჯზე უდიდეს წარმატებებს ვხედავთ. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სიამაყეა ჩაის თვალუწვდენელი პლანტაციები. 1966 წელს მათი ფართობი იყო 68 ათასი ჰექტარი, მაშინ, როცა 1921 წელს ჩაის პლანტაციები გაშენებული იყო მხოლოდ 1.000 ჰექტარზე. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს ხარისხიანი ჩაის ფოთლის მთლიანი მოსავალი იყო 550 ტონა. 1966 წელს კი 226 ათასი ტონა.

განხორციელდა უდიდესი სამუშაოები მწირი მიწების მოსარწყავად, დაკაობებული ფართობებისა და, უწინარეს ყოვლისა, კოლხეთის დაბლობის ამოსაშრობად და გამოსაყენებლად. ნაჭაობარზე ახლა ათასობით ჰექტარზე გაშენდა ჩაის და ციტრუსების ახალი ბაღნარები, სამგორის ოდესღაც შრიოკი ველი გაცოცხლდა და გაიფურჩქნა. ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ხალხის სამსახურში დამატებით ჩადგება კახეთის 100 ათას ჰექტარზე მეტი ნაყოფიერი მიწა.

საქვეყნოდ განთქმულია ქართული ღვინო და ხილი, ციტრუსოვანთა ნაყოფები. დაუცხრომლად შრომობენ ჩვენი მევენახეები და მეჩაიეები, მეცხოველეები და მექანიზატორები, რათა უფრო ამრავლონ სახალხო დოვლათი.

უხვი და მდიდარია საბჭოთა საქართველო. რას არ იძლევა ჩვენი მაღლიანი მიწა, როცა მას გამრჩე და დაუღალავი საბჭოთა ადამიანი დასტრიალებს თავს. ამ მიწა-წყალზე, სამოცდაათი ათას კვადრატულ კილომეტრზე, რომელსაც საქართველო ეწოდება, არ არის სოფელი და ქალაქი, რომ თავისი გმირი არა ჰყავდეს, ერთი კი არა, მრავალი სახელოვანი ადამიანი. მათ ავსებს მაღლით და ბარაქით მთელი ჩვენი რესპუბლიკა.

მაგრამ ჯერ კიდევ უხსოვარ დროს უთქვამთ, რომ არა მარტო პურიტა ერთითა ცოცხლობს კაციო. ჩვენს ადამიანებს, ჩვენს მომავალ თაობას რძეზე ნაკლებად როდი სჭირდებათ კარგი წიგნი, რათა ისინი სულიერად აღიზარდონ, იყვნენ მუდამ მართლანი, სამშობლოს მოყვარულნი, მაღალი მორა-

დილა უნივერსიტეტში.

ბუნების წილში.

ლის ადამიანები, სოციალისტური სამშობლოს დირსული მოქალაქენი, კომუნისტური მომავლის დამამკვიდრებელნი.

აქაც უხვი და მდიდარია საბჭოთა საქართველო; ქართველი კაცი ამაჟობს არა მარტო ქართული ჩაით, არა მარტო ქართული ფოლადით; ახლა დიდ მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა ჩვენი დიდებული ძველი და ახალი კულტურაც, ჩვენი რუსთაველი და გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ვჟა-ფშაველა და გალაკტიონ ტაბიძე. ჩვენ მოწმენი ვართ ქართული ეროვნული კულტურის უმაგალითო აუვაგებისა. თანამედროვე ქართველი საბჭოთა პოეტებისა და პროზაიკოსების წიგნებს გატაცებით კითხულობენ მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც, მთელ მსოფლიოში. ჩვენმა თეატრმა აღზარდა ოსტატები, რომლებმაც საქვეყნოდ გაითქვეს სახელი, ასევე გამოიჩინეს თავი ჩვენმა კომპოზიტორებმა, მხატვრებმა და მოქანდაკეებმა.

და განა მარტო მწერლობა და ხელოვნება! მთელი მსოფლიო იცნობს ქართველ მათემატიკოსთა გამოკვლევებს დრეკადობის თეორიისა და მათემატიკური ფიზიკის დარგში; ქართველმა ფიზიკოსებმა შექმნეს სრულყოფილი აპარატურა ატომფულის


რეაქტივის გამოსაკვლევადა, სახელოვნად იღწვიან ჩვენი გეოლოგები, ქიმიკოსები, ასტრონომები, ჰუმანიტარული დარგის მეცნიერნი — ისტორიკოსები, ლიტერატურათმცოდნენი, ხელოვნებათმცოდნენი, მთელი ჩვენი ახალგაზრდა სამეცნიერო აკადემია, რომელიც საბჭოთა ეპოქის პირშეა.

ჩვენი სიბრძნის დიდ ტაძარს — ქართულ უნივერსიტეტს მხარში ამოუდგენ უამრავი ინსტიტუტები, რომლებიც ამზადებენ შესანიშნავ კადრებს, კომუნისტური მომავალ მშენებლებს.

და ახლა, დიდი ოქტომბრის სახელოვანი ორმოცდაათი წლის ზეიშის წინა დღით, ქართველი ხალხი, ისევე, როგორც ყველა ხალხი ჩვენი სამშობლოსი, უღრმესი სიყვარულით წარმოთქვამს უკვდავ სახელს ახალი კაცობრიობის ბრძენი ბელადისას, სახელს ლენინისას, რომლის ყოვლისშემძლე მოძღვრებამ დასახა წინსვლისა და აღორძინების ეს დიდებული პერსპექტივები და ცოცხალ სინამდვილედ აქცია ისინი.

ოქტომბერი — ჩვენი პლანეტის გაზაფხულია, მთელი კაცობრიობის სიჭაბუკეა, მისი აღორძინების და წინსვლის შუქმოსილი გზაა.

გ. ნატროშვილი, ა. კუსრაშვილი.



ს ი მ ა მ ა ც ე ღ ა ბ ა მ შ რ ი ს ხ რ ბ ა

ხალკომოტივო დეპოს უფროსის კაბინეტში ორნი ვსხედვართ: დეპოს უფროსი ნიკოლოზ თოფურაძე და მე. სარკმლიდან მოჩანს თევზისფერი, მოედვარე ღიანდაგებით დახერილი მიდამო, რომელიც სოსუმის სამგზავრო ვაგონად მიხლართება და მერე თვალისაგან იკარგება. სადღაც, შორიანლო, ზღვა ხუნთავს...

— სულ რაღაც რვა თვე თუ იქნება გასული იმ შემთხვევიდან, — მიაშობს ნიკოლოზი, — თებერვალი იყო. გიორგი ლიკვეიშვილი იმ დამით თბილისი-როსტოვის შემადგენლობა ჩაიხარა სამტრედიისი და თავისი ელმავლით აღსაზრთისკენ წამოიყვანა. ყველამ კარგად იცის გიორგის სიფრთხილე; ხშირად იტყვის ხოლმე — როცა ხიფათს არ ელი, სწორედ მაშინ უნდა გამოიხატოს თავი და ყური, იმიტომ, რომ შემანქანე ხარ და ათასობით ადამიანის სიცოცხლე გაბარიაო.

ნიკოლოზი წამით შეჩერდა, დაფიქრდა, ალბათ ის დრო გაახსენდა, როცა თვითონაც ელმავლის საჭესთან იდგა. მერე განაგრძო:

— ყველა შეიშავდა ასეთი ჩვეულება აქვს — ნაცნობ გზაზეც კი ათასჯერ შეათვალიერებს ვაგონებს, შეამოწმებს შემადგენლობას. როგორც წინ იხედობს, ისე უკანაც უნდა იყუროს!

ის იყო გამოსცდა ოჩამჩირის და სადგურ ტიმიშთან შორიანი შეთვლიერების დროს დაინახა: კვამლის ქულები ღრუბლებივით შემოსარადა ვაგონ-რესტორანის სახურავს. ველა შეანელა, თანაშემწე თემურ გარაშვილს ცეცხლ-საწინააღმდეგო ბალონები მიაწოდა და ხანძრის მიწერების გასაგებად გადახტომა უბრძანა. როგორც იყო, შეანელა სიჩქარე და ზედ ღიანდაგის შემომვლელის ცხვირწინ დაამუხრუჭა მანქანა; მერე შემომვლელი დარაჯად დააყენა, თვითონ კი თანაშემწის ნაკვალევს გაჰყვა და მასზე ადრე მიიხრბინა ვაგონთან.

ვაგონ-რესტორანის სამარეულოს ღუმელებში იზოლაცია შესუსტებულიყო, ძაბვა კი ღუმელებში საკმაოდ დიდია... მომხდარიყო მოკლე ჩართვა, რასაც შემდეგ ხანძარი გამოეწვია.

დაფრთხილულ მზარეულებს და ოფიციალტებს ისიც ვერ მოეხერხებინათ, რომ ვაგონის მუხრუჭი ჩამოეწიათ, კინაღამ წინაღობივით გამოიწვინენ შიგ.

როგორც იყო, შეანელეს ცეცხლი, საბოლოოდ კი ვერ ჩააქრეს. გიორგიმ ვაგონის მომსახურე პერსონალს უბრძანა სხვა ვაგონებში გაეტანათ ვაგონ-რესტორანის ყველა ნივთი, ვაგონთან მოსულ ბრიგადირს ორ წუთში გააცნო ვითარება და თხოვა ხალხისთვის მიეხედა, რათა ვალდებულები მგზავრები პანიკას არ მისცემოდნენ და ვაგონიდან არ გადმოშტარიყვნენ. მატარებლის გაჩერება და სახანძრო რაზმის ღლონის ზედმეტი იყო — ხანძარი გზის ორივე მხარეს გაიშალა ტყეს მოედებოდა... აღარ დაფიქრებულა — ელმავალს მიაშურა. არ ახსოვს, ასეთი სიჩქარით თუ უვლია ოდესმე, მიფრინავდა მერცხა-ლივით და თან დაკვირვებით გასცქეროდა წინ გადაშლილ რკინიგზას, ამასთან არც ცეცხლწაქიდივით ვაგონს აშორებდა თავალს.

— აკი მოახწრო კიდევ, — დამთავრა თხრობა დეპოს უფროსმა. — მატარებელი დრანდის ჩიხში შეიყვანა; გამოხსნეს ვაგონ-რესტორანი, რომელსაც კიდევ უფრო მეტად წაჰკიდებოდა ცეცხლი და სასწრაფოდ მოსულ სახანძრო რაზმს დაუტოვეს; თვითონ კი კვლავ შეკრიბა ვაგონები და დაკარგული დრო რომ აენახლურებინა, დიდი სიჩქარით გაეშურა სოჭისკენ. მხოლოდ მეორე დღეს შეიტყვეს მგზავრებმა გიორგის ვაუკაცობის ამბავი. შემანქანეს კი ამ დროს მოსკოვ-თბილისის მატარებელი მოჰყავდა სოსუმისკენ.

...ერთხანს ვდუმდით.

„რა უბრალოდ ბყვება, — ფიქრობდი და გაცნობილი ვუცქეროდი დეპოს უფროსს: ხომ შეძლებდა წუთიერ დახვეწილობას, ზედმეტი წამის დაკარგვას შემწარავი ტრაგედია მოჰყოლოდა.

და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ რკინიგზელებიც ისეთივე ფოლადის ნებისყოფის ადამიანები არიან, როგორც ჩვენი სახელგანთი მფრინავები, როგორც მწვლავურები, ან მალაროელები... თუმცა, რომელი პროფესიის შეჩქარება ვუწოდოთ იოლი? ყველა მათგანი სიმამაცის მოითხოვს და არა მარტო სიმამაცს, არამედ გამჭირაბობასაც.

— გიორგის კიდევ ორიოდ საათს დააგვიანდება, — თქვა ნიკოლოზმა და დაუმატა — დღეს რაღა იქნება და სჯობია ზვალ დილით პირადად წახოთ და ესაუბროთ. მძიმე ცხოვრება აქვს გამოვლილი. იმდენი ხიფათი და განსაცდელი უნახავს, რომ ნარკვევი კი არა, რომანი დაიწერება. — გულკეთილად გადიემა დეპოს უფროსმა და დააყოლა — მხოლოდ ენა თუ ამოადგმევინეთ.

უკვე გვიანი საღამო იყო. მდუმარედ მივდიოდით ასევე მდუმარედ მდგარ ელმავლებს შორის, რომლებიც თითქმის დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ ღრმა ძილს მისცემოდნენ.

— წამოწიქ, ჭირან, თვალი მოატყუე, — უთხრა გიორგიმ თანაშემწეს, — თუ გასაჭირი იქნება, გაგაღვიძებ.

...გვიან ღამით გამოვიდნენ სამტრედიიდან და შეეცოდა გიორგის ახალგაზრდა კაცი. ერთი საათითაც რომ დაეძინოს, ისიც კარგია.

თანაშემწე ფიქრმა თავისი სიყრმე მოაგონა. ბავშვობიდანვე მიაჩნია მამამ გარჯას. თავით ხომ ერთ-ერთი თავკაცი იყო სოფლად ბირველი კოლექტივების მოწყობის დროს, განათლება არ ჰქონდა, მაგრამ კარგად იცოდა მიწის ყადრი; ამიტომ უნდოდა, რომ შვილი სკოლის დამთავრების შემდეგ აგრონომი გამოსულიყო.

მერე ის იყო, იანეთის შედგლიანი სკოლაც დამთავრა და მართლაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში აბირებდა სწავლის გაგრძელებას, რომ მეგობრების რჩევით შემანქანეობის შესწავლა გადაწყვიტა.

სამამულო ომი უკვე დაწყებული იყო; გიორგი ამ დროისათვის შემანქანის თანაშემწედ მუშაობდა, ფრონტზე იარაღს, სურსათს და ტანსაცმელს ეზიდებოდა. 1944 წელს ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა და შემანქანე გახდა. არაფრად იმჩინედა გაჭირვებას, რომელიც ომმა ყველას და მათ შორის შემანქანეებსაც მოუტანა; შეუფერხებლად გადაყავდა მატარებლები. სიძნელებებს არ უშინდებოდა.

— გიორგი, ამ თხუთმეტი წლის წინანდელი ამბავი მინდა გაგახსენო, მოსკოვ-წყალტუბოს მატარებელი რომ მოგყავდა — სცადა დეპოს უფროსმა საუბარში ჩაერია გიორგი ლიკვეიშვილი, როდესაც მეორე დღეს კვლავ ნიკოლოზ თოფურაძის კაბინეტში მოვიყარეთ თავი.

გიორგიმ შუბლი შეიკმუნა.

— გასახსენებელი ბევრი არაფერია — უპასუხა მან ნიკოლოზს, — გულუთის სანაპიროსთან გზა წვიმას გადაერეცხა, ხილდა შეხასვლელი ღიანდაგები კი სამხის მეტრის სიმაღლეზე საყრდენის გარეშე ეკიდა. წყალდიდობამ ხიფათის შიშში ჩამავლო და ამ შიშის მიწერი იყო, დროულად რომ შევჩერე მატარებელი. ეს იყო და ეს.

— ასეთი ჭიუტაი — გაწყრა ნიკოლოზი. — ხომ გათხარით, პირს ვერ გაუხსნი-მეთქი, მაგრამ მისი შრომა და თავდადება შეუმჩნეველი არ რჩება: შედეგები, სიგულები, მადლობები, არა ერთგზის ფულადი პრემია... ერთი სიტყვით, ყოველთვის მოწინავეთა შორისაა. ჰოდა, თვითონ კი ეზარება ლაპარაკი!

გიორგი რომ ერთადერთი კაცი არ იყო დეპოს კოლექტივში ასე გამორჩეული, ეს თავიდანვე ვიცოდი. „ცხადია, ასეთი კოლექტივი ახალ მამვე ნებლებით ხვდება ოქტომბრის თებულს“, — გავფიქრე და ამიტომ ახლა ციფრებმა დაშინტერესა; დეპოს უფროსს გეგმა-შესრულების უფრანდლ ვთხოვე.

დეპოს ორივე კვარტლის გეგმა გადაჭარბებით შეუსრულებია. ნახევარი წლის გეგმა ტვირთის გადაწოდებაში 108 პროცენტით გამოიხატა; შრომის ნაყოფიერება თვითივედ მუშაზე გაზრდილა 107 პროცენტამდე, ტვირთის გადატანის თვითივედ შემცირებულა 8,8-ჯერ, დაზოგილა 1.042.740 კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 2,5 პროცენტით შემცირებულა თბომავლების სათბობის ხარჯვა; ექვსი თვის მანძილზე გადაუყვანიათ 498 მძიმეწონის მატარებელი და ნორმის ზევით გადაუტანიათ 128.928 ტონა ტვირთი და... ბევრი სხვა ციფრებიცაა მოყვანილი უურნალში, რომელთა ჩამოთვლა უკვე ზედმეტად მიგვაჩნია; ვიტყვით მხოლოდ ერთს, რომ ყველა შემოაღნიშნულმა ღონისძიებამ დაზოგა 52.188 მანეთი.

ეს მხოლოდ წლის ბირველი ნახევრის შედეგებია.

და აი, ახლა, როცა ჩვენი ნარკვევი დასასრულს მიუახლოვდა, მამაცი მიემავლე გიორგი ლიკვეიშვილი კვლავ გზაშია, მძლავრად მიაქროლებს შემადგენლობას და ლაღად გაჰყურებს თევზისფერ ღიანდაგს... გაჰყურებს, და სადმე უბრალო ქვაც რომ შემოეყაროს ახლად გადაბრუნებული, ალბათ ისიც არ დაჩივბა შეუნიშნავი.

— კეთილი გზა გქონდეს, გიორგი! მწვანე გზა არასდროს გადაგეტოვოდეს! ჰეივალ მვიდელიწვილი



ფაბრიკის ეზო.



ბრიგადირი ანია ნოგაი.

90 12 000 287

1940 წელი. გაზეთი „კომუნისტი“ აუწყებს თავის მკითხველებს, რომ ამჟამად შავდარეკალის ჩაის საწონი ფაბრიკაა.

საინტერესოა რა რაოდენობის პროდუქცია გამოუშვა ფაბრიკამ იმ წელს? 90 ტონა აწონილი და შეფუთული ჩაი.

ახლანდელ პროდუქციასთან შედარებად კი უხერხულია: 1940 წელს — 90 ტონა, 1966 წელს — 12.000!

— ალბათ გაინტერესებთ, სად იგზავნება ჩვენი პროდუქცია... ამ საკითხზე მიხეილ ბასინთან უნდა მიბრძანდეთ, — მეუბნება ფაბრიკის დირექტორი მიხეილ სარჯველაძე, — თუმცა მოიცათ, მე თვითონ დავუძახებ.

მიხეილ ბასინი გასაღების განყოფილების გამგეა. ხალხში, უბრალო საუბრის დროს, გასასაღებელს ისეთ საქონელს ეძახიან, რომელსაც მუშტარი მაინცდამაინც დიდად არ აწყდება. პოდა, ამიტომ გავიფიქრე, ცოტა არ იყოს უხერხული სახელი რქმევი-მეთქი ამ განყოფილებას. გასასაღებელი რა სკირს ქართულ ჩაის? ტატიანა ტყეშუჩავას რომ უთხრა, შენს მოკრეფილ ჩაის გასაღება სჭირდებაო, ხომ ვადაირია ქალი?

მაგრამ ხუმრობა იქით იყოს, და ჩვენებური ჩაი, საბჭოთა კავშირს რომ თავი დავანებოთ, საზღვარგარეთის არა ერთ ქვეყანაში მიდის. წელს მარტო მეორე კვარტალში 297 ტონა ჩაი გაიტანეს უცხოეთში. ქართულ ჩაის დიდ პატივს სცემენ პოლონელები, იუგოსლაველები, ჩეხოსლოვაკები, უნგრელები. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან 140 ტონა ჩაი შეუქვეთეს ფაბრიკას, ინგლისელებმა საკმაოდ ბლომად მოითხოვეს ეგი. პოდა, ბასინიც „ასაღებს“ პროდუქციას, რომელმაც ყველგან დიდი მოწონება დაიმსახურა.

მიხეილ ბასინს ამ თემაზე ლაპარაკი არასოდეს არ მოსწყინდება. მან ზემოთ იცის საზღვარგარეთის რომელ ქვეყანას რა სახეობის და რომელი ხარისხის ჩაი ეგზავნება, ისიც კი იცის, თუ ინგლისში ან უნგრეთში რამდენი ოჯახი შეეჭკევა ქართულ ჩაის.

მაგრამ მარტო ექსპორტი ხომ არ არის მთავარი, მთავარი ხომ თვითონ ადამიანები არიან, რომლებიც ქმნიან ამ პროდუქციას.

— მაგ საკითხზე მიხეილ მიმინოშვილი გეტყვით ყველაფერს — თქვა ბასინმა.

ეს უკვე შესაძლებელია!

მიხეილ მიმინოშვილი სამანქანო საამქროს უფროსი გახლავთ.

საამქროში საოცარია სიწყინარე; აქ ჩაის შემფუთავი თვრამეტი ავტომატი დგას.

საამქროსაგან გამოცალკევებულია ერთი ბრიგადა, რომელიც ტიხარს იქით მუშაობს; აქ ავტომატები არ ჩანს. ქალები გრძელ მაგიდასთან ჩამწყრივებულან და თავდახრილები მუშაობენ. შუა ტანის ქალი მაგიდასთან დგას. ტყვიის ფურცლებს ათვლიერებს და ამოწმებს.

— ბრიგადირი ანია ნოგაი! — თქვა საამქროს უფროსმა.

— კორეელია, — დამასწრეს ბრიგადის წევრებმა, როცა შემატყეს, რომ რაღაც უნდა შეკითხა.

საიდან მოხვდა აქ კორეელი ქალი?

1941 წელს, ოდესიდან თბილისის ჩამოსული ნოგაი ქართველ მეგობრებს უეუკედლებიათ, მას შემდეგ აქ მუშაობს. ბრიგადა, რომელსაც ის უღვას ათვეში, მანქანებს არ იყენებს; ვარა ლომსაძე, რუსულან ივანიშვილი, ლამარა ანდლუაძე, ოლა კორნიენკო, ნინო წერეთელი სათუთად ახვევენ სურნელოვან ჩაის ტყვიის ფურცლებში და მერე სპეციალურ თეთრ ქაღალდში, რომელიც წითელ-წითელი ვარსკვლავებით არის მოპყვილი; ჩვეულებრივი ჩაი კი, რომელსაც ავტომატი ფუთავს, ნაცრისფერ ქაღალდშია გახვეული და ეტიკეტიც სხვანაირი აქვს.

აქ თურმე საიუბილეო პროდუქციას ამზადებენ.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომლები სადღესასწაულოდ მიიღებენ სამ ტონა საიუბილეო ჩაის.

სამანქანო საამქრო ფაბრიკის ძირითადი უბანია, აქ იღებს პროდუქცია საბოლოო სახეს. ბუნებრივად წამოსული აწონილი ჩაი (50 გრამი) ავტომატში ჩამოდის, მანქანა თვითონ ჭრის ქაღალდს, თვითონვე აძლევს მას კოლოფის ფორმას, შიგ ათავსებს ჩაის, მერე თავს მიუწებავს, ეტიკეტს. მიამაგრებს და ბურთივით ისვრის გამზადებულ კოლოფს ხის ღარში.

თვითუღმა მანქანამ დღეში 1376 კილოგრამი პროდუქცია უნდა გამოუშვას. იქნებ ვინმემ იფიქროს, ბარემ დაემრგვალებინათ, დაეწესებინათ, ვთქვათ, 1400 კილოგრამი, ვერ მოეროდნენ, თუ რა! ვენერა ცხოვრებაშვილის მანქანა, მაგალითად, ყოველთვის აჭარბებს გეგმით გათვალისწინებულ ციფრებს, ყოველდღიურად 1400 — 1450 კილოგრამ პროდუქციას უშვებს.

მაგრამ არა. გეგმა გეგმა, 1376 — ეს ზუსტადაა ნაანგარიშევი.

ვენერა რვა წელიწადია ამ საამქროში მუშაობს. ამ ხნის მანძილზე მის ხელში დაახლოებით 87 მილიონმა კოლოფმა გაიარა, ეს კი თითქმის იმდენია, რასაც ფაბრიკა საქსპორტოდ გზავნის ორი წლის მანძილზე.

გალინა კიკაჩიშვილი და გალია მირზაბეკოვა ქვედა სართულზე მუშაობენ. ზემოთ, სამანქანო საამქროში რომ შემფუთავი ავტომატი მზა პროდუქციას ღარში ისვრის, ის პროდუქცია აქ ჩამოდის და ქალები მას უშველებელ ყუთებში აწყობენ. გალინამ თოთხმეტი წელიწადი გაატარა ამ ყუთებთან, გალია კი სულ ოთხი თვეა, რაც ფაბრიკაში მოვიდა. პირველად ეძინებოდა კონვეიერთან მუშაობა.

— ჩვენს მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, — უხსნიდა გამოცდილი ჩამწყობი უზბეკ გოგონას, — კონვეიერზე ერთი ყუთის გაშვებაც რომ დაგვაგვიანოთ, მთელი საამქროს მუშაობა შეფერხდება, დღეში თვითუღმა ჩვენგანმა 32 ყუთი მაინც უნდა გაუშვას. რამდენჯერ გითხარი თითო ცალს ნუ აწყობ-მეთქი; ამ ყუთში 900 კოლოფი ეტევა და 900-ჯერ რომ დაიხარო და გაიშართო, ძალიან დაიქანცები! ათი ცალი ერთად უნდა გამწყრივო, აი ასე, მერე ბოლოებში ხელისგულებს მიაჭერ, აიღებ და ჩაღებ ყუთში, ეს არის და ეს. ყუთის ავსებისათვის შენ დაგვირდება სულ 90 მოძრაობის გაკეთება და არა ცხრაასისა.



სამანქანო სამჭრო.

ფოტო მარხან არმაპისა.

გალია თვალბში შესქეროდა უფროს მეგობარს და ნაჩვენებ მოძრაობას რამდენიმეჯერ იმეორებდა.

ეს მაშინ იყო, ამ ოთხი თვის წინათ, თორემ ახლა არაფერი ეშლება გალიას, უკვე შეეჩვია, შევისისხლობრცა კოლექტივს.

...უთუბი ივსება და კონვეიერს დინჯად მიაქვს ტვირთი შემქვედავებთან.

• • •

სამუშაო დღე ისე დამთავრდება, რომ შემქვედავები ერთმანეთს სიტყვას არ ეტყვიან, შესვენებაზე კი იცოცხლე, რა ამბებს არ მოჰყვებიან. სამუშაო ადგილზე კი, ნურას უკაცრავად, დრო არ იძლევა ამის საშუალებას; ორი ლურსმნის დარტყმაც რომ დაგვიანო, უთუბი მოჩხუბარი ბიჭებივით წამოგადგებიან თავზე, ჭერ ერთი, მერე მეორე და მორჩა, მთელი სამჭროს შრომა წყალში ჩაიყრება. ეს კარგად ესმით შალვა ფეიქრიშვილს, გივი სუხიშვილს და გიორგი გაბარაევს. ის კი არა, ერთხელ გალია მირზაბეგოვა მოვიდა, რომ ბიჭებისათვის ეკითხა სამჭროს უფროსი სად არისო, მათ არც კი შეხედეს. ქალიშვილს ცრემლი მოაწვა თვალბზე, ეწყინებოდა აბა რა, აქამდე თავს ევლებოდნენ და ახლა პასუხის ღირსიც არ გახადეს. შესვენებაზე სამივე ერთად მივიდა გალიასთან და ბოდიში მოახსენეს, დაარწმუნეს, რომ პასუხის გაცემას ორი წუთი მინიმ დასჭირდებოდა და გალიას მიერ ავსებული ყუთი შეუქედავი დარჩებოდა.

და გალიამ ბიჭებს აბატი „დანაშაული“.

წელს, რვა თვის მანძილზე ჩამწყობებისა და შემქვედავების ხელში 7990 ტონა ჩაიმ გაიარა; უკვე მეექვსე კვარტალია ფაბრიკა ინარჩუნებს საკავშირო პროფსაბჭოს და კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალ დროშას. აქ ყველა გულდადებით და გულმოდგინედ მუშაობს — სასახელო მაჩვენებლებით ზღვებიან ოქტომბრის დიად იუბილეს.

იხირო ტაბიქა

საიუბილეო ჩაის შეფუთვა.



„კაპიტალი“ და ქართული საზოგადოებრიობა

კაცობრიობის ისტორიას ახსოვს მრავალი გამოჩენილი მოაზროვნე, რომლებიც ოცნებობდნენ ადამიანის თავისუფლებაზე და სოციალური უსამართლობის აღმოფხვრაზე; კარლ მარქსი პირველი იყო გენიალურ ადამიანთა შორის, რომელმაც თავისუფლებისმოყვარე იდეები მჭიდროდ დაუკავშირა საზოგადოების სტრუქტურის შესწავლას, გამოიყენა იგი თავისი დროის საზოგადოების, კაპიტალისტური წყობილების წარმოებრივ ურთიერთობათა ასახვად და მოგვცა ამ საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის მწყობრი თეორია.

გ. ი. ლენინმა განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა მარქსის მოძღვრება; მარქსისა და ლენინის დროშით გაიმარჯვა დიდმა ოქტომბერმა, რომელმაც დასაწყისი მისცა კაცობრიობის ახალ ისტორიას.

„კაპიტალს“ 100 წლის ისტორია აქვს. მისი პირველი ტომი 1867 წლის სექტემბერში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რასაც მაშინვე ფართოდ გამოეხმაურა პრესა როგორც გერმანიაში, ისე საზღვარგარეთ.

„კაპიტალის“ პირველი რუსული თარგმანი რუსული თარგმანი იყო, რომელიც პეტერბურგში 1872 წლის 8 აპრილს (ძვ. სტ. 27 მარტს) გამოვიდა 8 ათასი გეგემპლარის რაოდენობით. შემდეგში კიდევ უფრო გაძლიერდა ინტერესი მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის ამ გენიალური ქმნილებისადმი.

აღსანიშნავია, რომ „კაპიტალს“ ფართოდ ეცნობოდნენ მაშინდელი საქართველოში მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები. ქართულ პრესაში „კაპიტალი“ მოხსენიებულია ჯერ კიდევ მისი რუსული თარგმანის გამოსვლამდე. შემდეგ იგი უფრო ცნობილი გახდა ქართული საზოგადოებრიობისათვის. ი. ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის, ა. ფურცელაძის, გ. შიშინაძის და სხვათა ნაწერებში ხშირად იხსენიება მარქსი და „კაპიტალი“ ხან პირდაპირ, ხანაც მიუთითებენ მის ავტორზე, როგორც „გამოჩენილ მეცნიერზე“, „დიდ მოაზროვნეზე“, „უდიდეს ავტორიტეტზე“. იმომებენ „კაპიტალის“ ადგილებს ამა თუ იმ პოლიტიკურ-ეკონომიურ საკითხზე დავის დროს.

ქერ კიდევ 1889 წელს ნ. ნიკოლაძეს „კაპიტალის“ პირველი ტომი რუსული თარგმანის კორექტურაში წაუკითხავს, შემდეგ გაცნობია ფრანგულ თარგმანს.

ცოტა უფრო მოგვიანებით მწერალ სოფრომ მგალობლიშვილს „კაპიტალი“ გადასახლებაში გაუგზავნა მ. ყიფიანისათვის.

ინტერესი „კაპიტალისადმი“ კიდევ უფრო გაიზარდა 1890-იანი წლების შემდეგ, როცა მუშათა მოძრაობა აღმავლობის გზას დაადგა, საქართველოსა და ამიერკავკასიაში შეიქმნა პირველი მარქსისტული წრეები. ამ დროს არც ერთ წრეში ან კრებაზე პროპაგანდისტს არ შეეძლო „კაპიტალის“ ძირითად თეორიულ დებულებათა ცოდნის გარეშე გამოსვლა. ამიტომ „კაპიტალს“, თუ კი ის სადმე გამოჩნდებოდა, პირდაპირ იტაცებდნენ, წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა.

1897 წელს ალ. წულუკიძე წერდა: „მე „კაპიტალი“ სახელმძღვანელოდ, გზის მაჩვენებლად, ლამპრად მინდა... როდის იქნება ის ნეტარი დრო, რომ ჩვენს ცხოვრებაში გამოიღოს ნაყოფი ამ დიდებული მეცნიერის აზრებმა და ჩვენს აზროვნებასაც მეცნიერული ხასიათი მიეცეს“.

ალ. წულუკიძემ დრმად შეისწავლა „კაპიტალი“ და ბრწყინვალედ გადმოსცა მისი დებულებები თავის ცნობილ ნაშრომში: „წაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“.

„კაპიტალის“ პირველი ტომი ქართულ ენაზე გამოიცა 1930 წელს. თარგმანი შეასრულა დ. ონიანიშვილმა, მთავარი რედაქტორები იყვნენ მ. ტოროშელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი და ბ. რამიშვილი. სულ მალე ითარგმნა „კაპიტალის“ დანარჩენი ტომებიც.

„კაპიტალის“ ქართულად გამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო იმ მხრივ, რომ ქართველი მკითხველი, განსაკუთრებით სტუდენტობა თავის მშობლიურ ენაზე ეცნობოდა მარქსის ამ გენიალურ ქმნილებას, არამედ იმ მხრივაც, რომ მან დიდად შეუწყო ხელი ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებას. რაც დრო გადიოდა, მოთხოვნილება „კაპიტალზე“ იზრდებოდა. სულ მალე „კაპიტალი“ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

ამიტომ გადაუდებელ ამოცანად დასახა მისი მეორედ გამოცემის საკითხი. და აი, „კაპიტალის“ პირველი ტომის მეორე ქართული გამოცემა განხორციელდა სკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსისტ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა 1954 წელს (25 ათასი ტირაჟით). „კაპიტალის“ პირველი ტომის ახალი თარგმანი ეკუთვნის პ. იაშვილს, რედაქცია კი შეასრულა სარედაქციო კომისიამ ვ. კუპრაძის (პასუხისმგებელი რედაქტორი), ი. ბაქაძის, პ. გუგუშვილის, ა. ნუცუბიძის, ა. ქუთელიას და ა. ჭიშკაიშვილის შემადგენლობით.

კარლ მარქსის სახელობაში წიგნი გზას უკაფავს მშრომელ კაცობრიობას ნათელი და მზიური მომავლისაკენ.

პროფ. ბაკოლონ ნუცუბიძე



ლებარდე — ეს სახელი პირველად ბაბუასაგან გავიგონე. „იქ ერთი ისეთი წყარო მოჩუბჩუბებს, მწოლიარე ავადმყოფს რომ დააღვივოს, უმალ ფეხზე წამოაყენებსო“, გვიამბობდა მოხუცი. ბოლოს დასძენდა ხოლმე: „ისეთი მიუვალი ადგილია, მარტო გარეული თხები თუ შესძლებენო იმ ბილიკებზე სიარულს“.

მახსოვს ერთი მეზობელი გვყავდა, შუახნის კაცი იყო, „ბიჭის“ ეძახოდნენ (საკუთარი სახელია). ჭალადიღში იყო წასული ქირაზე, იქ ციებ-ციხელება შეეუროდა; დაბრუნდა ავადმყოფი, ერთიანად ჩამომხმარი და უღროოდ დაბერებული. სოფელში ჩამოსვლისთანავე ლოგინად ჩავარდა და ვეღარ ადგა. არ ვიცი ვინ ურჩია მის ჭირისუფლებს — ლეზარდეზე წაიყვანეთო.

ბიჭიმ უარი თქვა, ეტყობა დიდი დღე აღარ მაქვს. იქ სადღაც კლდეებში რად უნდა მოვკვდე, აქ მამაპაპის საფლავებს გვერდით მაინც დავიმარხებიო.

როგორც იყო გადათქმევინეს, დაწვინეს ურემზე და წაიყვანეს. ისე გამოიტირეს საცოდავი ბიჭი, გეგონებოდათ, მართლაც მიცვალებულს მიასვენებენო. მთელი ზაფხული აღარა ისმოდა რა იმისი; და აი, ერთ დღეს ორმა მხედარმა შემოაგლეჯა ცხენები შუკაში. მთელი ხალხი გამოეფინა. არ ვიცი თავმოწონებისა თუ სიხარულის ნიშნად, ბიჭი ცხენს ათამაშებდა — აქაო და შემომხედეთ, ეს მე ვარ, საიქიოდან მოვდივარო!

იმ დღიდან ლეზარდეს კიდევ უფრო გაუვარდა სახელი ჩვენს სოფელში.

ლებარდე, როგორც შესანიშნავი სამკურნალო წყალი, ცნობილი იყო ჯერ კიდევ 1885 წლიდან. მაგრამ იმ დროს მის კეთილმოწყობაზე არავის უზრუნვია და უფიქრია. არ იყო გზა, მაგრამ ხალხი მაინც აწყდებოდა ლეზარდეს; ტყეში გაჭრილ პატარა საცაღფებო ბილიკზე დაწალიკებული მიემართებოდნენ ავადმყოფებიც და მათი პატრონებიც. აქ მომყავდათ ადამიანები, რომელნიც ჭალადიდის ჭაობების მაღარიას ისე დაეუძღურებინა, რომ ფეხზე

ძლივს იდგნენ; აქედან სავსებით განკურნებული და ჭანღონით სავსენი ბრუნდებოდნენ შინ, მაგრამ კოლხეთის შხამიანი კალო ისევ მოსწამლავდათ ხოლმე; ერთხელ უკვე განკურნებული, ისევ ავად ხდებოდნენ და იძულებულნი იყვნენ ყოველ წელიწადს ევლოთ ლეზარდეში.

გზა არ იყო ლეზარდემდე. ავადმყოფები სოფელ კურუმდე ურემებით მიდიოდნენ და შემდეგ კი ჩალანდრის ცხენს ქირაობდნენ. მას ზურგზე გადაკიდებდნენ ბარგს, საჭმელ-სასმელს, ერთ კაცს ადვირზე ეკიდებდნენ ხელი, მეორეს ცხენის კულზე და ასე რამდენიმე დღის განმავლობაში მიბობდნენ ციკაბობზე. იყო შემთხვევები, როცა მგზავრები უფსკრულში იჩხებოდნენ და იღუპებოდნენ.

დღეს კი ლეზარდეში წამსვლელს ვეღარაფერი შეეკრთობს და შეაფერხებს. გეგეკორის რაიონიდან ლეზარდემდე სამოცი კილომეტრის მანძილზე გაიყვანეს მშენიერი გზა, ზოგან გულრონია მოსხმული, ზოგან ქვაფენილია დაგებული, ალაგ-ალაგ კი ჯერ ისევ ისმის ბულდოზერებისა და ესკავატორების გუგუნის — დაულადავად მუშაობენ გზის ოსტატები.

კურორტი ლეზარდე მდებარეობს ქვემო სვანეთისა და სამეგრელოს მიჯნაზე, ზღვის დონიდან 1,800 მეტრის სიმაღლეზე. კურორტის მთელი მიდამო ფიჭვნარითა და ნაძვნარითაა დაფარული; მაღალი მთიდან, რომელსაც დგომის მთას ეძახიან, ჩამოქუხს ანკარა წყარო; ეს მთა ამაყად გადმოსცქერის კოლხეთის ბარს, რომელიც უშუალოდ ემიჯნება შავი ზღვის ნაპირს და ამიტომ კურორტზე მთის პერი ზღვის ბაერთანაა შეზავებული.

კურორტი ლეზარდე დღეს კეთილმოწყობილია, მის გზაზე დაპქრიან მსუბუქი ავტომანქანები; აქეთ მოემართებიან ადამიანები ჩვენი სამშობლოს თვით შორეულ კუთხეებიდან, რომ დაისვენონ, განიკურნონ და ჭანღონით სავსენი დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაოს.

ალ. სიბუა

სანდრო მანუილაშვილი

უცნობი ჯარისკაცი

ვეფხოს გეძახდით ბავშვობიდანვე,
სოფელში ერთად გავიზარდენით;
გიუმაუი იყავ და მოჭიდავე...
შენი ოინი მახსოვს რამდენი!
ბავშვებს თამაშით ჩაუქროლებდი,
როგორც მიმინო და შევარდენი!

ომშიაც წასვლა ერთად მოგვინდა
სხვა მეგობრებთან და ჩვენს ტოლებთან;
მე კავკასიის ფრონტზე აღმოვჩნდი,
შენ კი — მოსკოვის მისადგომებთან!

აგერ, მე უკვე დავბრუნდი სახლში,
ომგადახდილი, დაჭრილი მკლავში;
შენ სამუდამო ბინა სად ჰპოვე
უცხო მიწაზე, თუ სადმე ხრამში?!

და ახლა, როცა უცნობ ჯარისკაცს
ხალხი ძეგლს უდგამს იქ და ამ მხარეს, —
ასე მგონია, ერთ-ერთი ძეგლი
შენ დაგიდგეს და გიმკობს სამარეს!

მე ეს მახარებს, გულში ვგრძნობ შეებას...
სხვებისთვის უცნობს, ვიძღვნიან ქებას!

ჩემი სახლი ჯუშაანში

დგას ჩემი სახლი ჯუშაანში განმარტოებით:
გარეშემკულა ვაწეებით და ხეთა რტოებით!

კედლის წარწერა, გეგონება, ირმის რქებია,
და ეს გვანიშნებს პაპიჩემის ანაგებია!
წარწერა გვამცნობს — „ალექსანდრე მოძღვრისა ვარო“.
ისევ მკვიდრია: ჩარჩო, წალო და ბუხრის თარო!

ეს მყუდრო სახლი არ ყოფილა ჩემთვის საკანი!
აქ დავიბადე, აქ დაირწა ჩემი აკვანი!

მათამაშებდნენ და მართობდნენ ხელში აყვანიტ.
ყველა წავიდა... ვინლა დარჩა, რომ ვცე თაყვანი!

პაპას ვუყვარდი, ყოველ დღით იყო მნახველი,
თვითონ მომნათლა და დამარქვა თავის სახელი;
ნათლიად მყავდა მისი მოძმე კარდანახელი...
მიმიხარია: ვნახო სახლი პაპისეული.
აქ ძალას ვიკრებ, თუნდ სიბერით ვიყო სნეული!

დგას ჩემი სახლი ჯუშაანში განმარტოებით,
გარეშემკულა ვაწეებით და ხეთა რტოებით,
მის აივანზე კვლავ მოვსულვარ, მხოლოდ დროებით.

სახლო, რამდენხანს გასძლებ კიდევ ეგრე მდუმარი?
შენ დღეგრძელი ხარ, მხოლოდ მე ვარ შენი სტუმარი!

ეს კაც დაეკ- -ჰაუპტი

პროფესორი კარლ ლემან-ჰაუპტი (1861-1938) იყო თვალსაჩინო გერმანელი ასტროლოგი და ურარტოლოგი. 1898-1899 წლებში მან მოაწყო არქეოლოგიური გათხრები თოფრაბ-კალში (ამჟამად თურქეთის საზღვრებში შედის), სადაც ოდესღაც მდებარეობდა ურარტუს დედაქალაქი ტუშპა. ურარტული და ხეთური ტომები სამხრეთიდან ემეზობლებოდნენ ქართველ ტომებს. ურარტული ტომების ერთი ნაკადი შემდგომში შეერთა ქართველ ტომებს და ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდა (იხ. „საქართველოს ისტორია“, 1958 წ. გვ. 37-38). თოფრაბ-კალეს გათხრების დროს ლემან-ჰაუპტმა იპოვნა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მდებარე ამ უძველესი სახელმწიფოს — ურარტუს მეფეთა ბრძანებით შესრულებული წარწერები, დეკორატიული ფარები, ბრინჯაოს ფიგურები, შეისწავლა ურარტუს ისტორია, ეკონომიკა, კულტურა.

კარლ ლემან-ჰაუპტის სახელი ზმირად იხსენიება ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების იმ ნაშრომებში, სადაც განხილულია ცხოვრება ჩვენი შორეული წინაპრების ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ნარკვევი ილია ჭავჭავაძეზე, რომლის თარგმანს მკითხველი ჩვენი ყურნალის ამ ნომერში გაეცნობა, ლემან-ჰაუპტმა გამოაქვეყნა 1910 წელს, გერმანული ყურნალის Hilfe-ს ფურცლებზე. ილიასა და ლემან-ჰაუპტს ბევრი უსაუბრიათ საქართველოს შორეულ წარსულზე. აქ ერთგვარ გამოხატულებას პოულობს იმდროინდელი თვალსაზრისი ქართველთა პირველსაცხოვრების შესახებ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომელსაც ლემან-ჰაუპტი სოფ. გერგეტში წასწყდომია; არქეოლოგი აქაც ერთგვარ თავისებურ „გათხრას“ აწარმოებს და პარალელს ატარებს უძველეს ქართულ ადამიანულ ცხოვრებასა და ბაბილონურ-ასურულ უფლებრივ ნორმებს შორის.

ლემან-ჰაუპტის ნარკვევი პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე.

ქართველთა წინა-ჩვეულებებსა და მათი ისტორიის მრავალ სხვა საკითხზე ცნობების შეგროვება შევძელი ილია ჭავჭავაძისთან ნაცნობობის წყალობით. ილია გამაცნო არტურ ლაისტმა, რომელიც საფუძვლიანი მცოდნეა ქართული ლიტერატურისა და ძალიან ახლოს იყო საქართველოს პოეტ-პატრიოტთან; ილიას შესანიშნავი ნაწარმოებები ლაისტმა გერმანულ ენაზე თარგმნა და გამოსცა.

ილია ჭავჭავაძე ჭეშმარიტად ითვლებოდა თავის ერის ბელადად და წინამძღოლად. მაგრამ მისი ასეთი წარჩინება, რა თქმა უნდა, თავადობით არ იყო გამოწვეული; ასეთი წოდებით მრავალნი არიან საქართველოში. ილია ჭავჭავაძე იყო ერთ პიროვნებაში განსახიერებული მწერალი, პოლიტიკოსი და ფინანსისტი. ამასთან, იგი გახლდათ ბანკის თავმჯდომარე, სათავეში ედგა ეროვნული შეგნების გამძლიერებელ ყურნალ „ივერიას“; მისი ერთი პოემა „განდევლი“, რომელიც ინგლისურად არის თარგმნილი, მოგვითხრობს უაზრებელ მიდამოებში, გამოქვაბულში მცხოვრები ბერის განცდებზე. ის ღრმა ფსიქოლოგიურიობა, გრანდიოზული ბუნების აღწერა, წარმტაცი სურათები, ენის მოქნილობა, თარგმანიდანაც რომ გამოსჭვივის, ცხადყოფენ, რომ ავტორი წარმოშობილი იყო ქართველი ხალხის წილიდან, იყო ბრწყინვალე გამოხატველი თავისი ხალხის სულიერი შინაარსის, მისი აზრების და შეხედულებებისა.

ილია ჭავჭავაძის ვესტუმრე, როგორც ქალაქის ბინაში, ისე მის მამულშიც. თბილისის მახლობლად. 1902 წელს კი ბედნიერება მქონდა მას ბერლინშიც მივსალმებოდი, აქაურ მანდილოსნებთან ერთად გამეტარებინა მასთან მდიდარი მოგონებები თანდასვლად ლამაზი საათები. მისი გმუხი ადნავობა, მისი დია, ინტელიგენტური სახის ნაკვთები და მიშვიდვლი ბუნება ჩემთვის სახელმწიფო დაუფრთხილად წყაროა.

ილიას ბინა ქალაქად — ბალისაკენ იმხივრება და ქართული სტილით გამოირჩევა. განსაკუთრებით ითქმის ეს ფართო აივანზე, რომელიც ზამთრობით, ჩასმული ფანჯრების მეოხებით, დახურულ ვერანად იყო ქცეული. ბევრ თავისებურებას გავცანო ჩემს პატივსაცემად მოწყობილ ერთ სადილზე. აქ ყველაფერი ნამდვილ ქართულ, კავკასიურ ყადაზე მიმდინარეობდა. ჩვენთან იყო ქართული ლერჩაქით თავდახურული ქალიც, ეს გახლდათ ჩვენი მასპინძლის დაი; მასპინძლის მეუღლე კი ევროპულად იყო გამოწყობილი. წყალი მოჭვარტვის თიხის ჭურჭ-

ლით, რომლის ფორები ხელს უწყობენ წყლის ცივად შენახვას. მაგრამ ჩვენ უფრო ვეწაფებოდით ქართულ ადგილობრივ წითელ და ქარვისფერ ღვინოებს. იყო გაცხოველებული, სიამოვნების მომგვრელი საღებავებელი, რომელსაც მოსდევდა სეფიანი ქართული სიმღერები.

ილია ჭავჭავაძე წარმოშობით კახელია. კახეთი კავკასიის მთაგორების აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს. ეს არის სამშობლო კავკასიის საუკეთესო ღვინოსა, სახელდობრ, სოფელი ყვარელი, რომელიც იძლევა სახელგანთქმულ კახურ წითელ ღვინოს. თავად ვორონცოვის კავკასიის მმართველად ყოფნის დროს, კახეთიდან მრავალი ვაზი გაუტანიათ იტალიაში და იქ მოუშენებიათ.

როდესაც არტურ ლაისტი და მე ჭავჭავაძის ვახლდით და არაგვის მარცხენა ნაპირზე მდებარე მის მამულში მივმგზავრებოდით, წინამურის მახლობლად (სტრაბონით — სეფსაორა) ყველა შემხედური მას ღრმა პატივისცემით ესალმებოდა; ქართულ სალაშზე — „გამარჯვება“ უბასუხებენ: „შენც გაამარჯოს!“

...ვინ წარმოიდგენდა, რომ სწორედ ამ ადგილას, რამდენიმე წლის შემდეგ, ჩვენს წინამძღოლს და მასპინძელს თავს დაატყდებოდა საშინელი უბედურება!

საგურამოს სახლის აივანიდან ჩვენს წინ იშლებოდა საუცხოო ხედი მჩქეფარე არაგვზე, საქართველოს სამხედრო გზაზე და მის მარჯვნივ განლაგებულ მთებზე. ყველაფერს დაჰკრავდა განსაცვიფრებელი ოქროსფერი. სწორედ ამ სახლთან არაგვი მნიშვნელოვნად იხრება მარჯვნივ და აქ მდინარე და დაბლობი ფართოდ იშლებიან.

ბაღში, კაკალქვეშ სუფრა იყო გაშლილი, რომელსაც ჩამავალი მზის სხივები ანათებდნენ.

არაგვზეც ვიყავით სათევზაოდ და ა, რა მამობო იქ ილიამ: ქართველთა წინ-ჩვეულებებში აჭსანიშნავია კანონი, რომლის ძალითაც წყლის გამოყვანის შემთხვევებში დასაშვებია იყო თვით ეკლესიის აღება და ახალ ადგილზე გადატანაც კი. ჩვენი მოსაუბრის აზრით, ეს არის ერთ-ერთი იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ქართველი ხალხი, მის დღევანდელ ადგილებში დასახლებამდე, ისეთ ადგილებში ცხოვრობდა, სადაც წყლის ნაკლებობის გამო, მის გამოყვანას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ გარემოებას ადასტურებს აგრეთვე ისიც, რომ ქართველები, რომელთათვისაც წყლის საკითხის მოგვარება ილია არ იყო, საცხოვრებელ

ბინებს გამოქვაბულებში, წყლის ნაპირზე აკეთებდნენ.

ამაზე უფრო საინტერესო იყო ქართველთა შემდეგი ადამიანული უნდა. საქართველოს სამხედრო გზაზე, უაზრებთან ახლო, სოფელ გერგეტში, ერთ ნაკვეთ მიწაზე იყო დავა. თითქმის უკვე გადაწყვეტილი მქონდათ, რომ ამ მიწის მესაკუთრეს და მესარგებელს ეს ნაკვეთი უნდა ჩამორთმეოდა, ამ დროს გამოცხადდა თორმეტი წლის ყმაწვილი და განაცხადა: მე ვარ იმის მოწმე, რომ ახლანდელ მესაკუთრეს, ყოველგვარი კანონის ფორმალური მხარის დაცვით, ნაკვეთი შესყიდული აქვს და ამიტომ მის საკუთრებას შეადგენს.

— ეს ნაკვეთი ამ კაცმა თითონ იყიდა, თუ მემკვიდრეობით მიიღო? — შეეკითხნენ მას.

ყმაწვილმა უპასუხა — მემკვიდრეობით მიიღო.

— ამ შემთხვევაში შენ არ შეგიძლია ემოწმო, შეიძლება ეს ამბავი ვინმე მოწმისაგან გაიგე!

— არა, პირადად მე ვარ ამის მოწმე, — დაიუხნა ყმაწვილმა.

— ეს ხომ სისულელია! რამდენი ხნის წინათ მოხდა ეს ამბავი?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ რამდენიმე ასი წელი იქნება მას შემდეგ.

— მერე და, ეს ხომ ყოველად შეუძლებელია, რომ შენ იყო მოწმე...

ახალგაზრდა მანაც თავისას იმეორებდა: — პირადად მე ვარ მოწმე, რომ ამ რამდენიმე ასი წლის წინ ეს მიწა მფლობელის წინაპარმა იყიდაო. უკვე ყველა იმ აზრს დაადგა, რომ ეს ახალგაზრდა არანორმალური იყო. მაშინ მან გამოიწვია ხელი განზრახ მოჭრილი ფრჩხილით, თითის წინასახსრის ნაწილიანად. აი რა გამოაშკარავდა ამის შემდეგ: შთამომავლობიდან შთამომავლობაზე, უფროს შვილზე გადადიოდა დამოწმების ეს ნიშანი და ამისათვის ისინი თითს ისახიერებდნენ. ასე მოქცეულა პირველი ნამდვილი მოწმე თავის შვილის მიმართ, ასევე ჩაუდენია სიკვდილის წინ ამ ბავშვის მამას, რომელსაც დასამოწმებელი ნიშანი მემკვიდრეობით შვილისთვის გადაუცია. ხალხმა სცნო ეს დამოწმება და რუსი მოსამართლე იძულებული იყო ამ ახალგაზრდის განცხადების შესაბამისად გამოეტანა დადგენილება.

ამ ამბავს რომ გავეცანი, გამახსენდა ბაბილონურ-ასურული უფლებრივი დოკუმენტები თიხის დაფებზე, ნამდვილად ქართულ, კავკასიურ ყადაზე მაგივრად იხმარებოდა. ამ საინტერესო დეტალს ათასეული წლების სიღრმისაკენ მივყავართ.

გერმანულიდან თარგმნა რ. ნიშარაძემ

გაზეთებში ხშირად გვხვდება ცნება „პრევენტიული ომი“. ვთხოვთ განვიმარტოთ, რას ნიშნავს ეს სიტყვა?

რ. ცაგარელი (თბილისი)
ვ. ხულაძე (ახალციხე)

პრევენციული ომი?

პრევენციული ომი ლათინური სიტყვაა, ნიშნავს წინასწარი ზომების მიღებას რისამე თავიდან ასაცილებლად. ასე, მაგალითად, აცრა პრევენტიული ღონისძიება რომელიმე ეპიდემიის წინააღმდეგ. ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებსაც ეს ცნება პოლიტიკაში გადააქვთ, სრულად ყალბ შინაარსს აძლევენ მას. „პრევენტიული ომი“, რომელსაც მიმართავენ აგრესორები მოწინააღმდეგე მხარის ვითომდა მოსალოდნელი თავდასხმისაგან თავის დაცვის, მისთვის დასწრების მიზნით, სინამდვილეში ნამდვილი ყაჩაღური ომია.

ოცდაორი წელია, რაც მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა. ბევრი რამ შეიცვალა ამ ხნის მანძილზე მსოფლიოში, შეიცვალნენ ადამიანები, მთავრობები, ქვეყნები; ძალთა თანაფარდობაც კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის აღარ არის ისეთი, როგორც იყო ამ მეოთხედი საუკუნის წინათ. საბჭოთა კავშირის მხარში ამოუდგნენ მსოფლიოს სხვა სოციალისტური ქვეყნებიც. მძლავრი სოციალისტური ბანაკი გადაიქცა საერთაშორისო ცხოვრების რეგულირების ურყევე ფაქტორად.

უცვლელი დარჩა მხოლოდ ამერიკელი „ცოფიანებისა“ და მათი „თეორეტიკოსების“ პათოლოგიური სიძულვილი საბჭოთა კავშირისადმი. ეს სიძულვილი ფეთქავს მათი მოქმედებას ყველა სფეროში, როგორც სასიკვდილოდ დაგეგმილი მარჯისკემა.

ჩვენი ხვედრი ბრძოლაა. ისტორიას ჩვენთვის მშვიდობის რტო კი არ მოაქვს, არამედ მახვილი. ავიღებთ თუ არა ამ მახვილს ხელში? არა, ეს სიტყვები უშესაუკუნეებდნენ დანატიკოსს როდი ეკუთვნის, რომელსაც მოსისხლე მეზობელთან ხმლით შეუიღებდა მოსურვებია, ეს არის მოწოდება თერმობატორი მკვლელობისაკენ და იგი ეკუთვნის ამერიკის საგარეო პოლიტიკის ჩრჩხილებით სალსალმათად მყოფ სტრატეგებს: ამ მოწოდების ლოკია საკმაოდ მარტივია: ჩერ აღიარებულ უნდა იქნას ატომური ომის გარდაუვალობა. ამას მოყვება მოთხოვნა, რომ რაც შეიძლება სწრაფად შეიქმნას „სამყაროს დასასრულის თარალი — ბეგატონური“ და „გვიგატონური“ ბომბები კომუნისმის ვასანადგურებლად, ვინაიდან ესოდენ დიამეტრალურად საპირისპირო სისტემათა მულმივი თანაარსებობა შეუძლებელია“.

ამერიკელი პუბლიცისტი ფ. ჯონსონი, ახლანდელი პრეზიდენტის მოგვარე, თავის წიგნში „გამარჯვებას არაფერი არ შეეცლის“, გაშვავებით ესხმის თვის შეერთებული შტატების მთავრობას სოციალისტური ქვეყნების მიმართ ვითომდა მისი თავდაცვითი პოლიტიკის გამო. იგი მოითხოვს „კომუნისმის მოსპობას მთელს მსოფლიოში“, „საბჭოთა კავშირთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტას“, „ნახევრად სამხედრო ხასიათის მოქმედებათა (ტერორი, საბოტაჟი, ამბოხებები) გაფართოებას“. მოკავშირეები? მათ აბც უნდა გაუწიო ანგარიში, უნდა იფიქრო საკუთარ თავზე. ნეიტრალური რეჟიმები? ისინი უნდა შეიცვალოს სამხედრო დიქტატურებით, რომლებიც სულთ ენათესავენ შერტებულ შტატების მმართველ წრეებს. და ყველაფერი ეს, როგორც ჩანს, უნდა გაკეთდეს „კომუნისტური დაპყრობის“ საფრთხისაგან შეერთებული შტატებისა და მისი ვასალების გადარჩენის მიზნით.

საბჭოთა კავშირის „აგრესიულობაზე“ რომ ლაპარაკობენ, მათ ცხადია, ვერავითარი დამარწმუნებელი

საბუთი ვერ მოჰყავთ. და რაკი საბჭოთა კავშირის მიითური „აგრესიულობა“ არ შეიძლება დამტკიცდეს არც პოლიტიკური არგუმენტებით, არც ისტორიული ფაქტებით, არც ეკონომიური მოსაზრებებით, იგი წამოყენებულია, როგორც შიშველი აქსიომა. გინდათ თუ არა, დაიჭერეთ. მორჩა და გათავდა!

მთელი ომის შემდგომი წლების განმავლობაში ამერიკელი „თეორეტიკოსები“ ამუშავებდნენ „პირველი დარტყმისა“ და „პრევენტიული ომის“ დოქტრინას, გაფაციცებით ეძებენ არგუმენტებს იმ ადამიანების გამართლებისათვის, რომლებიც ამ ყბადაღებულ „პრევენტიულ ომზე“ ფიქრობენ“.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პრაპაგანდას უწევენ არა უბრალოდ პრევენტიულ ომს, არამედ პრევენტიულ ატომურ ომს. თუ ყველა ამერიკულ თეორიას პრევენტიული ატომბირთვული ომის შესახებ იგი უბრალო ფორმულამდე დაივყვანთ, მაშინ იგი დაახლოებით ასეთ ფორმას მიიღებს: „სულ ერთია, რამ თავიდან ვერ ავიცილებთ. მაშ რა უნდა გაკეთდეს? რაც ყველაზე ხელსაყრელია, საბჭოთა კავშირის მოულოდნელად უნდა დაატყდეს თავზე მთელი ატომბირთვული არსენალი და ერთი დაკრით ბოლო მიეღოს კომუნისმს“.

ერთი პირველთაგანი, ვინც აშკარად და კატეგორიულად გამოვიდა ატომური ომის არა მარტო შესაძლებლობის, არამედ აუცილებლობის დასაცავად, იყო ვინმე გ. კანი. წიგნში „თერმობირთვული ომის შესახებ“ იგი წერს, რომ ამ ომის შედეგები არც ისე საშინელია, განსხვავება „მშვიდობის საშინელებებსა“ და „ომის საშინელებებს“ შორის „მხოლოდ რაოდენობრივია — ხასიათისა და ღონის მიხედვით“. იგი არწმუნებს ამერიკელებს, რომ შეერთებული შტატების ეკონომიკა ატომბირთვული ომის შემდეგ „შედარებით სწრაფად შეძლებს ომამდელი ნაციონალური პროდუქციის დიდი ნაწილის აღდგენას“. კანი მკითხველებს მოუწოდებს, რომ თავიდან მოიპორონ იმის ილუზია, თითქოს ომი არ იქნება. იგი ამტკიცებს: „საჭიროა მთელი სერიოზულობით ვიზუტირებოდეთ, რომ ომს დავიწყებთ თვითონ ჩვენ, როგორც არ უნდა მოხდეს ეს და როგორც არ უნდა უსიამოვნოდ ეღერდეს ეს“.

თეხისს ატომბირთვული ომის ვითომდა გარდაუვალობაზე ავითარებენ მრავალ წიგნში. მათი ავტორები სერიოზულად ამტკიცებენ, რომ ომის შემდეგ რადიკალური ნალექები ადამიანებს უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებენ, ვიდრე ავტომანქანების კატასტროფები და სიგარეტების წევა. ერთ-ერთ ასეთ წიგნში „100 მილიონი სიცოცხლე“ ავტორი მოუთხრობს ატომბირთვული ომის თამაშის შესახებ ელექტრონულ მანქანებზე, რომლებითაც ამერიკელი ოფიცრები თავს იქცევენ.

აი ერთი ასეთი თამაშის თემა: მოსკოვში თენდება, ადამიანებს სძინავთ. ამერიკული რაკეტების თეთრად გაავარავებელი მუხტები მიწისაკენ ეშვებიან. ადამიანები იხოცებიან იმ მომენტში, როცა მათი საწოლები ორთქლდება. მაგრამ ელექტრონული მანქანები მოთამაშეებზე უფრო ფხიზლები და გონიერები გამოდიან. ისინი წინასწარმეტყველებენ, რომ შეერთებულ შტატებს უეჭველად მიეზღვებათ სამაგიერო.

საქმე ისაა, რომ ბევრ ამერიკელ სამხედრო ხელმძღვანელს ეს კარგად ესმის. ტრუმენის მთავრობის

ყოფილი მინისტრი ტ. ფინლეტერი წიგნში „საგარეო პოლიტიკა — შემდეგი ეტაპია“ წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მოუზადებდნენ აღმოჩნდნენ „ისტორიის მრავალი სიურპრიზის“ მიმართ. იგი აღიარებს, რომ საბჭოთა თანამგზავრების გაშვებამ „დასაბამი მისცა ომისშემდგომი ისტორიის ახალ ერას“. ავტორი ამ მოვლენას თვლის თავისი მნიშვნელობით მეორე დარტყმად კაპიტალიზმის სისტემაზე. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. მათ აღარ შეუძლიათ არ აღიარონ, რომ სამყარო, რომელსაც დასაბამი მისცა ოქტომბერმა, უძლეველია. ყოველივე ეს, წერს ფინლეტერი, მოითხოვს საერთაშორისო პოლიტიკისადმი ახლებურ მიდგომას.

და აი, ითხზება მორიგი დოქტრინა, რომლის მთავარი აზრიც არის ის, რომ ომი უნდა მიმდინარეობდეს ქალაქების ფარგლებს გარეთ, ისე რომ ქალაქები „მძევლებად“ უნდა იქნან დატოვებულნი. ასე წარმოიშვნენ ახალი სიტყვები, რომლებსაც დოქტრინებდა ასაღებენ: „მოქნილი რეაგირება“, „კონტრძალა“, „ცენტრალური ომი“ და ა. შ.

ოკეანისგამგელ პოლიტიკოსებსა და სტრატეგებს უკვე აღარ ძალუძთ მთლიანად მოსწყდნენ რეალური ვითარებას, როგორც ამას წინათ აკეთებდნენ, ისინი იძულებულნი არიან თავიანთი სურვილებისაგან დამოუკიდებლად როგორმე შეეგუონ იმპერიალიზმისათვის არახელსაყრელ, ძალთა ახალ თანაფარდობას.

ასეთი „შემგუებლობა“ სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამერიკულ მონოპოლიებს უეცრად წამოუარა „მშვიდობისმოყვარულმა გრძნობამ“. ეს იძულებითი მანევრირებაა. ამის დადასტურებას წარმოადგენს პენტაგონის აგრესია ინდოჩინეთში. ეს აგრესია არის „შეზღუდული ომის“ დოქტრინის პრაქტიკული განხორციელება. მაგრამ ჯონსონის მთავრობა, ახორციელებს რა ყბადაღებულ ესკალაციას, აღმოჩნდა ისეთი ფაქტის წინაშე, როცა „შეზღუდულმა ომმა“ ვიეტნამში იგი დააყენა გაუთვალისწინებელი შედეგების წინაშე, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკურ კურსზე, ასევე საერთაშორისო მდგომარეობაზე.

წიგნების ფურცლებიდან ვიეტნამის ბრძოლის ველებზე გადატანილმა „შეზღუდული ომის“ თეორიამ თვალნათლივ დაინახვა მსოფლიოს თავისი უხერხემლობა. მართალი აღმოჩნდნენ ისინი, ვინც თავიდანვე ამბობდნენ, რომ თანამედროვე პირობებში რომელიც გნებავთ საომარი ოპერაცია, როგორც არ უნდა „შეზღუდული“ იყოს იგი, შეიძლება გადაიქცეს, მსოფლიო მასშტაბის შეუზღუდავ კატასტროფად.

საბჭოთა სახელმწიფოს და მომე სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური და სამხედრო ძლევამოსილება, მათი თანამიმდევრული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, მთელი მსოფლიოს ხალხთა სწრაფვა მშვიდობისაკენ იმის საწინდარია, რომ ყველა ჯურის „ცოფიანებისა“ და „ქორების“ ბნელი ილუზიები, მიმართული საკაცობრიო ცივილიზაციისა და ადამიანობის წინააღმდეგ, ისევე დაიმსხვრევიან, როგორც ბნელეთის ყველა მოციქულთა ზრახვები კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე.

ა. აბულაძე

თბილისის მეტრო.
სადგური „ოქტომბერი“.



ისანში.



ფოტო
ი. ბაპინა.

ბარათაშვილის ხილთან.





მეტეცზე.

ქაშაშვილი.

ხარის დაჭედა.





ტოპოგრაფები.



წითელკაბიანი გოგონა.



ე. შეტქაშაშვილი



კონსტანტინე ლოთიანიძე

ჩემი თაობის მწერალი ცოტა თუ ბევრად იცნობს ძველ ქართულ სოფელს, ახსოვს მისი ავიცა და კარგიც. ამავე დროს მოსწრები ახალი სოფლის დაბადებას, პირველი ტრაქტორის შემოსვლას ქართულ მიწაზე; ახსოვს ორი პირველი ქართველი კოლმეურნი — კობა ჩოხელი და იონა ფეტვიანი — ერთი აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწეობდა, მეორე კი დასავლეთში. მე მინახავს მათ პირველ ხელზე ამოსული პური და სიმინდი, მთელი წლები განმავლობაში მიღვენებია თვალი, როგორ იზრდებოდა ჩვენი ახალი სოფელი და არა ერთი და ორი სტრიქონი დამიწერია საქოლმეურნეო თავკაცების — კობა ჩოხელისა და იონა ფეტვიანის, ბრძოლასა და შრომაზე. მუდამ გულთან მიმიტანია ჩვენი სოფლის ჭირი და ლბინი, და დღესაც ამ გრძნობამ ამაღლებს ხელს კალამი. მე არ მინდა ჩემი წერილი სადღეგრძელოს ჰგავდეს, თუმცა დიდი და წრფელი მადლობის ღირსია ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა, რომლის მარჯვენამ ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოს დროშაზე ლენინის მეორე ორდენი გაბრწყინებულიყო. მათმა მადლიანმა შრომამ კიდევ ერთხელ ასახელა ჩვენი სამშობლო და დაუმტკიცა მთელ ქვეყანას, რომ არ დაღუღულა ქართული მიწის ღონე და სიცოცხლის ნიშანი; არასოდეს ისეთი ხვავიანი, ღლიანი-ბარკაინი არ ყოფილა შირაქის მინდორი და ალაზნის ველი, ტირფონა და კოლხეთის დაბლობი, გურიის-სამეგრელოს სერები და ქართლის ხალხ-გენაგენები, როგორც შარშან და შარშანწინ იყო. მთელი ჩვენი ქვეყანა ადევნებდა თვალს მათ თავდადებულ შრომას და როდესაც ახალგაზრდებმა პარტიისადმი მიცემული სიტყვა არ გასტყვეს და მუხლჩაუკრფელად ბოლომდე გაიტანეს ძნელად გასატანი კვალი, მთელმა საქართველომ გულით გაიხარა, რომ ასეთი ხასხხელა შვილები გვყავს.

მე, ქართველ მწერალს, როგორ არ უნდა მიხაროდეს და არ შესახებოდეს ის ამბავი, ის დიდი სასწაული, რომ ერის მოწინავე შვილთა შორის, საქვეყნოდ სახელმწიფოებრივ მიცნობებით, მხატვრებთან, მწერლებთან, ექიმებთან იხსენიებენ ასეთი სახელგანთქმული მევენახეებს, მეჩაიეებს, მწყემსებს, მექანიკოსებს... ისინი ერთად სხედან საქართველოს პარლამენტში, გერბი-გერბად სხედან პარტიის ყრილობებზე, ერთად მოგზაურობენ მსოფლიოს ქვეყნებში, ერთად სხედან სუფრასთან. მთელი ხალხის, მისი სხვადასხვა ფენების ასეთი ერთიანობა მხოლოდ შრომას შეეძლო დაემკვიდრებინა და განემტკიცებინა.

ვიმეორებ, ყოველი მათგანი დიდი და წრფელი მადლობის ღირსია; მეც ამ მადლობის სათქმელად ვწერ ამ სტრიქონებს, მაგრამ ცოცხა გამოცხადი სქობია — ცოტა რამ სადავოცა და საკამათოც მაქვს ახალი სოფლის თავკაცებთან. ამ წერილში მკითხველის ყურადღებას მივაქცევ მხოლოდ ერთ საქითს, რაც ჩემის აზრით ყოველ ჩვენგანს აფიქრებს და აღუვებს.

რა არის ეს საქითი?

სანამ ამას ვიტყვოდ, მინდა ერთხელ კიდევ გავისხნო ძველი სოფელი თავისი თითო-ორი ინტელიგენტი, სპირიტონ მცირიშვილით თუ გიგო დრუბელაშვილით. ესენი უბრალო მასწავლებლები იყვნენ და მათი სახე ჩვენმა ლიტერატურამ შემოგვინახა, როგორც მხატვრული დოკუმენტი. მასწავლებლის გარდა, სხვა პროფესიის ინტელიგენტი იმ სოფელს თითქმის არა ჰყავდა. გავისხნოთ ძველი სოფლის კულტურისა და დასვენება-გართობის ცენტრი — სამი ცაცხვი პატარა მწვანიაზე, სოფლის შუაგულში, სადაც შაბათ-კვირას, საღამოობით, თავს მოიყრიდა ხალხი, რომ მეზობელ-ნაცნობები ერთმანეთს შეხვედროდნენ, ერთმანეთი მოცილობათ, ახალგაზრდებს ემდერათ, ეცეკვათ, ბერკაცებს კი ქვეყნის ავ-კარგზე ელაპარაკათ, თუ ამ ქარობაზე ათასში ერთხელ ჩინელი ჯამბაზები გამოჩნდებოდნენ, ან კიდევ არდნის ჭიჭყინზე მოხეტიალე ბაღაგანის მსახიობები თოჯინებს ათამაშებდნენ, სოფლისათვის ეს დიდი წყალობა და თვალის სერი იყო.

თითო-ორი და დიდ სოფელში, როგორც იყო დიდი ჭინიში, სადაც კარგა ხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ნიკო ნიკოლაძე, ან თუნდაც კახეთში, სოფელ მარხანაში, სადაც სანდრო აბშეტელმა თავისი პირველი წარმოდგენა დადგა, ხალხს თავი ბედნიერად მიიჩნდა, რომ რაღაც სულიერ საზრდოს იღებდა, ქართული კულტურის მადლს ეწიარებოდა. მაგრამ ეს იყო ძალიან იშვიათი გამოჩენილი და კულტურის ყველაზე დიდ ცენტრად მიიჩნეოდა ისევე ის დაუფიქარი სამი ცაცხვი რჩებოდა. ახლა?!

მე არ შევუდგები იმის აღწერას, რა დიდებული კულტურის სახლები, სახალხო თეატრები, სკოლა-ინტერნატები, სამაქანო სახელოსნოები, უნივერსიტეტები, საავადმყოფოები და საექიმო უბნები დიდ სიცოცხლეს აძლევდნენ ახალ ქართულ სოფელს. ყველაფერი ეს მკითხველს ჩემზე კარგად მოეხსენება. ახალმა ქართულმა სოფელმა შექმნა თავისი მძლავრი ინტელიგენცია მრავალი სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენელთა სახით. ამ მხრივ თითქმის ყველაფერი რიგზეა. ურთულესმა აგრეგატებმა, მიწის დამუშავების მეცნიერულმა ტექნოლოგიამ, კულტურის სახლების მრავალფეროვანმა მუშაობამ სო-

ფელში შექმნა სულიერი ცხოვრების მაღალი დონე და ჩვენი სოფელი ამ მხრივ ბევრ რამეში ქალაქს გაუთანაბრდა. ამ ურთულეს მანქანებს გაუთაღებელი კაცი ვერ მოეროდა, ვერ გაუძღვებოდა და ახლა ჩვენი უბრალო სოფელი ბიჭი, ძველად უღლის ტახტის თუ გამოთლიდა, დღეს ათასი ნაწილია და დეტალისაგან აწყობილ მანქანას თვალის წაშში შეამჩნევს — იმ ათასიდან რომელი უმეტესა და თვითონვე უმეურნალებს. აი ეს არის მთავარი, ეს არის მაღალი ინტელექტუალური ტექნიკური დონე, ოქტომბერმა ქართველ გლეხკაცობას რომ მოუტანა... მკითხველი ალბათ გულში ფიქრობს, კონსტანტინე წერილის დასაწყისში დაგვიპირდა, სადღეგრძელოს არ ვიტყვიო, მაგრამ ნელ-ნელა იქით გადაუხვიაო.

არა, აქ მე სხვა ანგარიში მაქვს, მინდა ყველაფერი გულახდით ვთქვა... ვთქვა იმთა დასაგონად, ვისაც თავისი პირადი ცხოვრება დიდ საქვეყნო საქმესთან ვერ შეუთანხმებია და გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ ვიღაც მეორე გააკეთებს ჩემს გასაკეთებელს და პური მიწაზე უჩემოდაც კარგად ამოვა და ძროხაც კარგად მოიწყვეტებო.

არა, უჩვენოდ არსად არაფერი არ ვაკეთებ, ვინაიდან ამ მიწის, ამ სოფლის პატრონები ჩვენა ვართ და თუ მე რამე წახდება, გაუჭდება, წაღმა არ მოხარუნდება — მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ უნდა მოგვეცილოს. ქართველ კაცს ათასი უბედურება თავს რომ დატყდომოდა, თავის ყანასა და ვენახს ძალით ვერ ააგლეჯდი. ახლა კი, როცა ქვეყანაზე დიდი მშვიდობა საუფვეს, როცა შენი მიწიდან, შენი სოფლიდან შენ არავინ ვერცხება, წოვი ჩვენგანი თავისი ნებით სტოვებს დედუღეთსა და მამუღეთს და ბედის მაძიებლად იქცევა, იოლი ცხოვრების გზას ეძებს. თუმცა ეს რა იოლი ცხოვრებაა, როდესაც ჩემი მეგობრის ერთი ვაჟიშვილი, ახალგაზრდა ექიმი, აგერ მესამე წელია თბილისის ერთ-ერთ პოლიკლინიკაში უხელფასოდ მუშაობს და გულის კანკალით უცდის, რომელ მოსუც ექიმს ვაისტუმრებენ პენსიაზე; ან მტრისას და ავისას, ვინმე გარდაიცვლება და მისთვის ადგილი განთავსუფლდება. ცხოვრობს სადაც ნაქირავებ კუთხეში, მაშინ როდესაც სოფელში შესანიშნავი სახლი აქვს, ლამაზი კარ-მიღამო და მისი ცხოვრება ახერხ უფრო გლამაზდება, ნივთიერად ბევრად გაძლიერდება, რომ წოვი ამქვეყნიური მოჩვენებითი სიღამაზე დასთმოს და თავის ბუღეში დაბრუნდეს.

ამიტომ ჩემთვის გასაგებია მესხეთიდან ჩამოსული ერთი მოსუცი კოლმეურნის ბაგრატ დევნოსაძის გულისტკივილი, ამას წინათ შურნალ „დროშის“ რედაქციაში რომ გამოსთქვა: როცა ვკითხეთ, როგორა ხართო, მან გვიპასუხა, — კარგადა ვართ, მხოლოდ ერთი ცული ამბავი გვჭირს, სოფელში მარტო ბებრებიღა დავრჩითო. მართალია, ამბობენ, ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო, მაგრამ ამ ბულა ბიჭების ნაკლებობა ძალიან დავგვიტყურო...

რა თქმა უნდა, ყველგან ასეთი მდგომარეობა არ არის, მაგრამ აი რას ამბობს იმავე შურნალ „დროშის“ გასული წლის მეთორმეტე ნომერში წედა სიმონეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოსიკო სულამანიძე ამ ჩვენთვის საინტერესო საქითზე.

„სამწუხაროდ, ახლა ყველგან. ახალგაზრდა დაამთავრებს თუ არა სკოლას, სოფელში აღარ ჩერდება. გამოისკვნის მაღსტუხს და თბილისში ან ქუთაისში მიხუტურობს, ვერავითარი შეგონებით, ვერავითარი დარიგებით ვერ იშოქმედებს მასზე. ისე ადვილად სტოვებს თავის კუთხეს, მშობლიურ გარემოს, თითქმის ტყვეობას დააღწია თავი. წოვიერთი უმადლესი პირი სწავლის გაგრძელებას. მომავალში მინც რომ დაბრუნდებოდეს, ამას რა აქობებს, მაგრამ ტყუილი იმედია. თითქმის არავინაა ისეთი, რომ თავის კუთხეს დაბრუნებოდა.“

აი, სწორედ ეს არის სოფლის ინტელიგენციის უდიდესი ამოცანა, რომ სოფლის ცხოვრება ისე მოვაწყოთ, შევქმნათ ისეთი დამინტერესებელი პირობები, როგორც სულიერ, ისე მატერიალურ სფეროში, რომ სოფლიდან წასულ ახალგაზრდას, უმადლესს რომ დამთავრებს, ისევე თავისი სოფლისაკენ გამოუწიოს გულმა. თქვენ გაქვთ თქვენი საწარმოო გეგმები: რამდენი ჭინიანი და პური უნდა მოიყვანოთ, რამდენი ჩაი უნდა მოკრიფოთ, რამდენი ბატკანი უნდა მიიღოთ, რამდენი ყურძენი უნდა მიყიდოთ სახელმწიფოს... დიდია ამ გეგმების მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, მაგრამ მე მინდა, რომ თქვენს გეგმაში იყოს კიდევ ერთი პუნქტი — რამდენი ახალგაზრდა ვაისტუმრეთ უმადლესში და რამდენი უკან დაბრუნდეთ.

არც ისე დიდი ხნის წინათ დასავლეთ საქართველოს რაიონებში მომხიბდა მწვანურობა, ერთ ხალხს ჩემმა მასპინძელმა. მითხრა: ხვალ სოფელში ახალი რაიონული ელექტროსადგური უნდა ვავხსნათ, თუ ძმა ხარ დაგვეწარმო. რა თქმა უნდა დავეწარმო. იყო კარგი სიტყვები, დიდი სიხარული, მილოცვები და ხალხის მადლობა, და იყო რა თქმა უნდა, ყოველივე ამის ბუნებრივი დასასრული — ჩვენებური სუფრა. ამ სამხიარულო სუფრას ორმოცდახუთი კაცი უჭდა. ელექტროსადგურის მომსახურე პერსონლის სადღეგრძელო რომ დაღეს, რამდენიმე კაცი ერთად წამოადგა ფეხზე. მათ რომ შევხედო, ცოტა გაოცებული დავჩი. ამ ხალხში წამლად ერია ერთი თუ ორი ჩვენებური კაცი,

და მეც ცოტა გული დამწყდა, ნუთუ იმდენ ინჟინერი თუ ტექნიკოსი არ გამოჩნდა აქაური მიწა-წყლისა, რომ ამ საქმეში დაეხმარა ძალ-ღონით გასძლიებოდნენ მეთქი.

ვითხე მას მასპინძელს ამ ვეება სოფლიდან ნუთუ არავინ წასულა უმაღლეს საწავლებელში, რომ დაბრუნებულიყო და საჭირო სპეციალისტები ასე საძებარი არ გაგზავნიდათ-მეთქი.

როგორ არაო, მითხრა მასპინძელმა, ჩვენი სოფლიდან მარტო შარშან თერთმეტმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი; მაგრამ სამწუხაროდ სოფელში არც ერთი არ დაბრუნდა, ან რად გინდა რომ დაბრუნებულიყო, — იმ თერთმეტთან ათმა კაცმა იურიდიული, ფილოლოგიური და ურნალისტიკის ფაკულტეტები დაამთავრესო.

თუ კარგად ჩავფიქრებდით ამ ერთი შეხედვით თითქოს პატარა ამბავს, აშკარა გახდება, რომ საჭიროა ერთხელ კიდევ გადავხედოთ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების დაკომპლექტების პრობლემას, თორემ ეს რომ ასე გაგრძელდეს, რა სურათი გადაგვეშლება თვალწინ!

ცხოვრებას ერთი დიდი კანონი აქვს, — მიწა იმისია, ვინც იმ მიწას ამუშავებს. ქარხანა იმისია, ვინც იმ ქარხნის დაწვასთან სდგას...

...თუმცა რად უნდა დავშალოთ, ზოგჯერ ჩვენც გვეშლება რაღაც-რაღაცები და ბევრს არაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ სოფლიდან წასული ახალგაზრდა, პროფესიას რომ დაეუფლებო, ისევე სოფელს დაუბრუნდეს.

ამას წინათ ერთმა ნაცნობმა ქალმა, სათესლე მარცვლეულის ლაბორატორიის გამგემ, თბილისიდან სოფელში სამუშაოდ წასულმა მომწერა ბარათი: აქ, ჩვენს სოფელში თვითმომქმედი წრეები არ მუშაობენ, კინოსურათებს არ გვიჩვენებენ, ჩვენი კინომეჩანეოსი რაიონში გადავიდა და მისი შემცველი კაცი ვერ იშოვეს. ამ სულიერი საზრდოს უქონლობის ბრალია, რომ სოფელში უბრალო ქველებიც კი დროს ტარებენ, წარმოდგენად გადაიქცაო.

ჩემი ღრმა რწმენით, ეს არ არის ისეთი წერილი, ერთ კერძო მაგალითს რომ შეიცავდეს. აქ აღწერილი ამბები ჭერ კიდევ ახასიათებს ზოგიერთ სოფელს თუ რაიონს... ამ წერილში ბევრი სოფელი ინტელიგენციის გულისსტიკივლია გამოთქმული, სამართლიანი გულისსტიკივლი. მე კარგად ვიცი, რომ სოფლიდან ბევრი გზა მიდის ქალაქისაკენ. გამქცევს ბევრი მიწეში აქვს, საპატოო თუ არა საპატოო. არის გზა სწავლისაკენ, უმაღლესი სასწავლებლისაკენ; არის გზა ქარხნისაკენ, არის გზა თეატრისა და ხელოვნებისაკენ, მაგრამ არის გზაც ილიც ცხოვრებისაკენ, — რომ ჭაბუკმა თავი არიდოს, რადანსადაც, მიიმე, მაგრამ, როგორც პირადად შენთვის, ისე ქვეყნისათვის აუცილებელ და სასარგებლო შრომას; აი ასე იწყება ის მოლოპული გზა, რაც ადამიანს კაცობის სათვალავს გამოაკლებს, აქცევს ფუქსავატად და წარათმევს იმ დიდ სიხარულს, რასაც მას საქვეყნო ასპარეზი ანიჭებს, მაგრამ არის კიდევ ერთი პატარა ბილიკი, კიდევ ერთი მიწეში, ახალგაზრდა კაცს სოფლიდან რომ ერეკება — სწორედ ეს მიწეშია აწერილი ჩემი ნაცნობი ქალის ბარათში: სულიერი ცხოვრების დაბალი დონე, უკულტურობა და აქედან წარმოშობილი მოწყენილობა და ერთფეროვნება, რასაც ქველები და სუფრა თუ დაარღვევს დროდადრო. ვისი ბრალია, რომ ზოგიერთ სოფელში ასე უდიდამოდ მიდის სამუშაო დღეც და კვირა-უქმეც?

პირდაპირ ვიტყვი, ეს ყველა ჩვენგანის ბრალია, — კერძოდ, სოფლის ინტელიგენციისაც. ახალგაზრდა მასწავლებლები თუ ექიმები უფრო მონდომებული და თაოსანი რომ იყვნენ, მაშინ ზოგიერთ სოფელში ქველები ერთადერთი გასართობი და ხალხის თავშეყრის ერთადერთი ადგილიც აღარ იქნებოდა. ჩვენი სოფლის ინტელიგენციის მოწინავე ადამიანები ყველგან და ყოველთვის სათანადოდ არ ზრდნენ, რათა გამაღიერონ სოფლის სულიერი ცხოვრება, შექმნან სოფელში ადამიანთა ატმოსფერო, რომ ახალგაზრდა კაცს სოფლიდან წასვლა კი არ უხაროდეს, არამედ ეძნებებოდას, გული წყდებოდას... საყვედურის ღირსი ვართ ჩვენც, ქართველი მწერლები, რომლებსაც ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ სოფელთან ურთიერთობის ახალი ფორმების გამოსაძებნად, მაგრამ ამაზე დღემდე არავინ დაფიქრებულა. ჩვენ ხშირად გვაიწვევდება, რომ არა მარტო კარგი მხატვრული ლიტერატურა წარდის კარგ მკითხველს, არამედ კარგი განათლებული მკითხველიც ხელს უწყობს კარგი მწერლობის შექმნას. ჩვენ კი, ჩვენი უყურადღებობის გამო, ეს დიდი ძალა გამოუყენებელი გვრჩება.

ბოლო ხანებში მოღალ იქცა ეგრეთ წოდებული შეკრებები ერთი რაიონიდან თუ ერთი სოფლიდან გამოსული ინტელიგენციისა. ასე თუ ორასი თბილისელი პროფესორი, ექიმი, მასწავლებელი, ინჟინერი, მწერალი, გენერალი და სხვა მრავალი პროფესიის პატრიარქები ადამიანები მოიყრიან თავს და ერთ მშვენიერ დღეს თავიანთ მშობლიურ სოფელს ესტუმრებიან. იქ ზოგიერთი დადგება ტრიბუნაზე და გულაჩუყებული მოსთქვამს, ოცი წელიწადია აქ არა ვყოფილვარ, აქაურობა ვეღარ მიცვნიას... როგორ გაღამაზებულა ჩემი სოფელიო...

ამას უსმენს იქაური ახალგაზრდა — ჭაბუკი თუ ქალიშვილი და სრულიად ლოგიკური დასკვნა გამოაქვს: როდის დადგება ის ბედნიერი დღე, რომ მეც, ოცი წლის შემდეგ, ასე ვესტუმრო მშობლიურ სოფელს და იქ ყველაფერი უჩემოდ გამოცვლილი და გაღამაზებული დამხვდესო...

რა მაგალითს უჩვენებს და რას ასწავლის ასეთი შეკრება სოფლის ახალგაზრდას? კარგს არაფერს.

რა თქმა უნდა, მე ძალიან კარგად მესმის დედაქალაქის მეცნიერებისა და ხელოვნების დიდოსტატების კავშირის მნიშვნელობა სოფელთან, მაგრამ ეს არ არის ასეთი კავშირი, რასაც შეუძლია სოფელს სიკეთე და სარგებლობა მოუტანოს. ასეთ შეკრებებს თავისი შესაფერი ფორმა თუ არ მოეწონება და იგი მხოლოდ პლანტაციებას თუ წერებში გასეირნებითა და სენტიმენტალური სადღეგრძელოებით შემოიფარგლა, ეს მიიღებს ძალიან პროვინციულ ელფერს და არავითარ ნაყოფს არ მოგვცემს.

ყველაასთვის ცნობილია, რომ ხალხის ცხოვრებაში თავ-თავისი და ფრიალ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ერთის მხრივ, ჰუმანიტარულ და მეორე მხრივ ზუსტი მეცნიერების დარგს. ჩვენი ახალგაზრდობის საქმიანობის პრობლემის გადასაჭრელად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ორივე მხარე ჩვენი კულტურისა ისეთი პროპორციით ვითარდებოდეს, როგორც ამას ჩვენი სინამდვილე მოითხოვს. გადაზრა ერთისაკენ ან მეორისაკენ იწვევს ამ დიდი და მართალი სასწორის მოშლას და, მასთანავე, უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდობის ცხოვრებაზე. ვიცავთ თუ არა ყველა შემთხვევაში ჩვენ ამ პროპორციას? მე გეონია, არა.

ბოლო წლებში საქართველოში მრავალი ტექნიკური, სპეციალური უმაღლესი და საშუალო სასწავლებელი გაიხსნა, მაგრამ თვალში მაინც გეცემათ ერთი რამ: რომ ჩვენ უფრო მეტი ისტორიკოსი, ფილოლოგი, ურნალისტი, იურიისტი გვაქვს, ვიდრე ჩვენი რესპუბლიკის განვითარების მიმართულება მოითხოვს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჰუმანიტარული კადრების ჭარბი წარმოების გამო ამ დარგის მუშაკები პირდაპირი დანიშნულების სა-მუშაოს რომ ვერ პოულობენ, რაც ხელში მოხვედნათ, იმით კმაყოფილდებიან, უმრავლეს შემთხვევაში არც იციან ამ ადგილად ნაპოვნი სამუშაოს ავ-კარგი. განსაცოტა ჩვენში ადამიანი, რომელმაც იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და ახლა უადგილოდ დიდის, ან გამოშვების ადგილს დაემტეს სადმე გამოშვებულაში. ან ფილოლოგი ქალი, რომელიც მდივან-მემაქნანედ მუშაობს სადღაც დაწესებულებაში და ამავე დროს მდივან-მემაქნანის სამთვანი კურსები არ გაუვლია, ან ახალგაზრდა ისტორიკოსი, საქანდედატო დისერტაციას რომ იცავს თემაზე — „საკლემურნო მოძრაობის პირველი ეტაპი სამხრეთ-დაღის რაიონში“. ამავე დროს ჩვენს მრეწველობას, საბინაო მშენებლობას, გზებისა და არხების ქსელს აკლია მაღალი კვალიფიკაციის ხელოსანი-ხელოვანი, რომელიც ისეთივე გატაცებით, ცოდნით, თავისი დროის ტექნიკის სრული დაუფლებით, ისეთივე გულით მოექცაბებოდა საქმეს, როგორც თავის დროზე კლდეში გამოჭრილი რვახართულიანი ქალაქის — ვარძიის, ან გელათის, ან ბაგრატიის ტაძრის მშენებლები ექვლებოდნენ მასალას. მე ერთი წუთით ეჭვი არ მეპარება, რომ ის ხელოსნები უმაღლესი განათლების ადამიანები იყვნენ და ამიტომ არ უჭირდათ ზურთომოდვრების ჩანაფიქრი უდიდეს ხელოვნებად ექციათ. საშუალო განათლების მიღებას ათი წელიწადი სჭირდება... კარგი ხელოსანი-ხელოვანის გამოსაზრდელად კი ხანდახან დრო გვენანება, ერთი ზედმეტი წელიწადი ვერ გავვიმეტებთ; ამიტომ ვისაც საბურთალოსა და დიღომში აშენებული სახლები უნახავს, — უნახავს იქაური ბინების მორღვეულ-გამონგრეული კარ-ფანჯარა, აყრილი პარკეტი, ჩამორეცხილი კედლები, მოშლილი ოკანები, — დამეთანხმება რომ ჩვენში ზემოთ ნახსენები პროპორცია ჭერ კიდევ დარღვეულია. დიღომსა და საბურთალოსი აშენებულ სახლებს ისიც ეყოფოდათ, რომ ზურთომოდვრების თვალსაზრისით ქალაქს სიღამაზე წაართვის. უხერიო ჩანაფიქრს კი უხერიო ხელმა მთლად მოუღო ბოლო, აი სადა გამოჩნდა პრაქტიკული შედეგი იმ ხარვეზისა, რომ ჩვენ საკმაოდ არა გვაქვს ხელოსანი-ხელოვანი, ჩვენს დღეებს რომ ეკადრება.

იმას კი მტკიცება რად უნდა, რომ კარგი ხელოსანი ხელს არ გაიფუჭებს... დანით რომ დაადგე, ძალით ვერ გააკეთებინებ იმას, რაც მისი პროფესიის ღირსებას შეარცხვენს. ხანდახან იტყვიან, გეგმა დიდი, მანაც რა ჰქნასო. ეს არ არის მართალი. საქმეს დიდი გეგმა კი არ აფუჭებს, არამედ შრომის კულტურის დაბალი დონე. ხელოსანს არ უნდა აკლდეს სიღამაზის გრძობა. სიღამაზე და ესთეტიკა მისთვის ტექნიკურ განათლებასავით უნდა იყოს. მაშინ კი ნახეთ მისი ნახელოვანი. ასე რომ ზოგჯერ ნაყოფს ადრე ნუ მოგწყვეტთ, ვაცალოთ დამწიფება. ყოველი ხელოსნის დაოსტატების, დასპეციალების საკითხს ჩვენ ისევე სათუთად და გულისხმიერად უნდა მოვეპყროთ, როგორც მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე სპეციალისტის მომზადებას. მით უმეტეს ახლა, როცა ჩვენში ესოდენ ფართო პერსპექტივა ენახება საწარმოო ესთეტიკას, ესე იგი, როცა ესთეტიკა უშუალოდ უერთდება და ერწყმის წარმოებასა და მშენებლობას.

გავაკეთოთ ყველაფერი ეს და მაშინ ვნახავთ, ახალგაზრდა კაცს რამდენი საყვარელი და საშური საქმე გამოუჩნდება სოფელში. კარგ ხელოსანს უსაქმობის დროს ხელის ქავილი აუტყდება ხოლმე. მაშინ იმას თოკით ვერ დააბამ, ვერც ცხილდის წყლების მაღაზიასთან და ვერც კაფე „მეტროს“ კრიალა შუშაბანდებში.

ამით ვამთავრებ ჩემს წერილს; თუ უფრო მეტი სატივარზე ვილაპარაკე და არა საღიზიანო, ეს რა თქმა უნდა, სიყვარულმა გამაბედვინა — ჩვენი ახალგაზრდობის სიყვარულმა, საქართველოს სიყვარულმა. ამ სიყვარულს კი ბევრი რამ ეპატიება.


ქართული ორთოგრაფიის ისტორიიდან

აქაჲი შანიძე

მთავრული ასოებისა ხმარების გავრცელება

ქართული წერა ორნაირია: ძველი და ახალი. თითქმის მთ შორის საერთო არაფერია, მაგრამ, თუ დააკვირდებით, აღვივალდ შეამჩნევთ, რომ ზოგი იმისი ასო ამისას ჰგავს, და ერთი კი (ბ) სულ ერთნაირია ორივეში. ეს მსგავსება იმით აიხსნება, რომ ახალი წარმოიშვა ძველისაგან თანდათანობით, საუკუნეთა მანძილზე.

პირველად (IV-V სს.-ში) გვქონდა ერთი სიმბოლის ასოები, რომელთაც სახელად მრგვლოვანი ერქვა, უძველესი ქართული წარწერები და ხელნაწერი წიგნები მხოლოდ ამნაირი ასოებით არის შესრულებული. აი ნიმუში X საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერი წიგნისა („დევთინი“ A — 88), რომელიც მრგვლოვანი ხელით არის დაწერილი:



ესეთხველი ხედავს, თუ რა დიდ ურადლებას აქცევდნენ ჩვენი ძველები წიგნის მხატვრულ მხარეს, რომლის მთავარი სამკაული ლამაზად ჩამოკრებილი ასოები იყო; ამავე მიზანს ემსახურებოდა ინიციალებად გამოყვანილი მთავრული ასოები, რომლებიც ძველად მოხაზულობით იმავე სახისა იყო, რაც მომცრო ასოები, მაგრამ უფრო დიდი და ზოგჯერ წითურად დაწერილი ან სხვა ხერხით მხატვრულად შემოკობილი.²

მრგვლოვანისაგან შემდეგ ჩქარა წერაში შემუშავდა ნუსხური წერა, რომელსაც ასოები შუა წელში ოდნავ დახრილი აქვს მარჯვნიდან მარცხნივ.

1. ამას წინათ თბილისში გამოვიდა რუსულ ენაზე მშვენიერი გამოკვლევა დიდად განსწავლული მეცნიერი ქალის რენე შპერლინგისა: „მხატვრული გაფორმება IX-XI საუკუნეთა ქართული ხელნაწერი წიგნებისა“ (სამწუხაროდ, ავტორი ამ წიგნის გამოსვლას ვერ მოესწრო). მეოთხედი იქ იპოვის დიდად საყურადღებო მასალას ქართული ხელნაწერი წიგნის გამოყვანების საკითხისათვის.

2. წითური ასოები აქ სურათზე მკრთალად არის გამოსული.

ნუსხურის ნიმუში პირველად IX საუკუნეში გვხვდება.

ნუსხური ასოებისაგან კიდევ შემდეგ განვითარდა ე. წ. მხედრული, რომლის ნიმუშები უკვე XI საუკუნიდან გვხვდება. შემდეგ და შემდეგ ეს მხედრული თანდათანობით იცვალა, დაშორდა ძველ მოხაზულობას და საბოლოოდ მივიღეთ ის ანბანი, რომელსაც დღეს საყოველთაოდ ვიცნობთ და ვხმარობთ. ეს არის ახალი ქართული ანბანი, რომლის გამოცალკევება ძველისაგან მე-11 საუკუნეში დაიწყო.

მხედრულის შემუშავების შემდეგ ძველი წერა ეკლესიამ დაიკაუთრა; საეკლესიო წიგნები იწერებოდა გაკრული ხელით (ნუსხურით), სადაც ასოები სიმბოლური ოთხი ზომისა იყო. ძველი „მრგვლოვანი“ ასოების ხმარება კი დარჩა სათაურებში და წარწერებში, აგრეთვე ინიციალებადაც ნუსხური ხელით ნაწერ წიგნებში. ძველ ასოებს ხალხი ჩვეულებრივ დღეს „ხუცურს“ უწოდებს, რადგანაც უმეტესად მას ხუცები იყენებდნენ საეკლესიო საჭიროებისათვის, უფრო ზედმიწევნილობით რომ ვთქვათ, იგია ძველი ქართული.

ასეთი დიდი ცვლილება სხვა ერების წერას, რომელსაც კი ვიცნობ, არ განუცდია. მხოლოდ სლავებს ჰქონდათ ორგვარი წერა — გლაგოლიცა და კირილიცა, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით კირილიცას მიეცა უპირატესობა და გლაგოლიცა მიაფიწყდათ.


იყო ერთ დროს ჩვენში კამათი: ხუცურია უფრო ძველი, თუ მხედრული. ილია ოქროშინელი ამტკიცებდა, რომ უძველესია მხედრული, რომელიც ფარნავაზ მეფის დროს არის შემოღებული და მისგან წარმოიშვა ხუცურიც. მაგრამ დიმიტრი ბაქრაძემ ქართული წერის განვითარების ისტორიულ-შეღარებითი გზით უცილობლად დაამტკიცა, რომ უძველესია „ხუცური“.⁴

მე შორს წამიყვანს, რომ შევუდგე ქართული წერის განვითარების ისტორიის მოთხრობას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ქართული ასოების მოხაზულობის ცვლა და განვითარება, ასე თუ ისე, შეწყდა სტამბური ასოების გავრცელების შემდეგ, თუმცა დღესაც არის ცდა, ასოებს სხვა მოხაზულობა მისცენ (წიგნის თავფურცელზე, მაღაზიების აბრეშუზე, ტროლეიბუსის სადგურებზე და სხვაგან).

ვახტანგ მეექვსემ რომ სტამბა დააარსა თბილისში, მან ძველი ასოების უკლებივით ჩამოუსხა მას და ახლისაც. პირველად დაბეჭდეს წიგნები ძველი ასოებით: სახარება, სამოციქულო და ფსალმუნი. ამ წიგნებში მთავრულების ხმარება სისტემებარ არის გატარებული. საზოგადოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ „ხუცური“ ასოებით ნაბეჭდ ქართულ წიგნებში ყოველთვის და სისტემებარ მისდევდნენ მთავრულების ხმარებას. რაც შეეხება მხედრულად დაბეჭდილ წიგნებს, მათ პირველ წლებში მთავრული არა ჰქონიათ, მაგალითად, „ივეზის ტყაოსნის“ პირველ გამოცემაში, რომელიც 1712 წელს დაბეჭდა, მთავრული ასოები არ არის ნახმარი. მაგრამ უკვე ცხრა წლის შემდეგ, 1721 წელს, იმავე ვახტანგის სტამბაში დაბეჭდა „ცნობა ქმნუ-

3 ქართული ანბანის შემოღების გამო (თბილისის V არქ. ყრილობის შრომები), მოსკოვი, 1881 წ. გვ. 221 (რუს. ენაზე).

4 დ. ბაქრაძე — ქართ. პალეოგრაფია (რუს. ენაზე). იქვე, გვ. 207-211. ახლავს 11 ტაბულა.



ლებისა“ („აიათი“), რომელიც თვით ვახტანგმა თავისმა საბარსულისაგან. ამ წიგნში, რომელიც 148 გვერდისაგან შედგება, თავიდან ბოლომდეა გატარებული მთავრულებიანი ორთოგრაფია, როგორც ამას აქ მოთავსებული ერთი გვერდის ფოტოსურათიც გვიჩვენებს:

მაშასადამე, მხედრულის მთავრულიც იგივეა, რაც ხუცურისა, ასე რომ მთავრული ასოები საერთოა ორივე სახის ასოებისათვის: ძველისა და ახლისათვის.

„ქმნულების ცნობის“ წიგნის „გამმართველი“ ყოფილა, როგორც თავფურცელზეა აღნიშნული, მროველი ნიკოლოზ ორბელის ძე. სულხან-საბა ორბელისძის (ორბელიანის) უმცროსი ძმა. უბეჭველია, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმისას იგი თავის უფროს ძმას, განთქმულ ლექსიკოგრაფსა და მწერალს დაეთათბირებოდა, ორივე კი ნებართვას მიიღებდნენ ვახტანგისას, რომლის ნათარგმნი საბუნებისმეტყველო წიგნი იბეჭდებოდა. ამიტომ სავსებით ცხადია, რომ მხედრულ ტექსტში მრგვლოვანი მთავრულების შემოღების ინიციატორები არიან: სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ ორბელიანი (მროველი, შემდეგ ტფილელი) და ვახტანგ მეექვსე. ნიკოლოზ მროველმა დაგვიტოვა ცნობა, რომ მრგვლოვანი მთავრულების წერა მას სულხანმა ასწავლა, სულხანს კი — მამამს.


ვახტანგი მალე დიდი ამალითურთ რუსეთს გადასახლდა და მისი სტამბა განადგურდა. და, როდესაც გვიან მოხერხდა მისი აღდგენა და გადაკეთება, ორბელიანების ჩინებული იდეა წარმატებით იქნა გამოყენებული მხედრულად ნაბეჭდ წიგნებშიც მე-18 საუკუნის 80-იან წლებიდან. კარგად შესრულებულ ხელნაწერებში კი მთავრულების ხმარება ჩვეულებრივი გახდა.

ასეთი ორთოგრაფიით არის შესრულებული, მაგ. ერეკლე II-სა და ეკატერინე II-ს შორის დადებული ხელშეკრულება 1788 წლისა, რომელშიც მრავალი საკუთარი სახელი გვხვდება (პირისა და გეოგრაფიული). ხელშეკრულების ქართულ ტექსტში.

5. თ. აყაიშვილი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობა (რუსულ ენაზე), II, 410.

რომელიც ლამაზი ხელით არის შესრულებული, საკუთარი სახელები ყოველთვის მთავრულით იწყება.

მთავრულითვე იწყება მრავალი ლექსის სტრიქონები დავით რექტორის 1821 წელს გადაწერილ ანთოლოგიაში და, მათ შორის, ბესიკის „ხედიის ბაღიც“.



ქართული წიგნის პოლიგრაფიული ბაზა თბილისში — სახელმწიფო სტამბა — გაანადგურდა ალაშქმად-ხანის შემოსევის დროს, 1795 წ., მერმე სცადეს მისი აღდგენა, მაგრამ ამასობაში საქართველოს მიერთება მოხდა, სტამბამ დაკარგა დახმარება სახელმწიფოს მხრივ და ფაქტობრივად გაუქმდა. მალე გააუქმეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც (1811 წ.), მაგრამ ქრისტიანობა არ მოუსპიათ და, რაკი საქირო იყო ქართული ეკლესიისათვის წიგნები, მათი ბეჭდვა თბილისში კი არ განაგრძეს, არამედ გადაიტანეს სინოდის სტამბაში მოსკოვს, რომელიც დაშორებული იყო თბილისიდან მრავალი დღის სავალზე გზით. თბილისში თუ რამე იბეჭდებოდა ქართულად (ისიც 1815 წლიდან) მხოლოდ მხედრული შრიფტით. ამიტომ, თუ მე-18 საუკუნეში შემოღებულ მთავრულებს ვინმე იხმარდა ნახევრად წიგნში, პეტერბურგისთვის უნდა მიემართათ, სადაც მეცნიერებათა აკადემიის სტამბას მოეპოვებოდა თეიმურაზ ბატონიშვილის ინიციატივით პარიზს დაკეთილი და ბროსეს მეშვეობით გაკეთებული ძველი ქართული შრიფტიც. ამიტომ მთავრულების გარევა მოხერხდა, მაგ., თეიმურაზის „საქართველოს ისტორიაში“, რომელიც მხედრულად დაიბეჭდა აკადემიის სტამბაში 1848 წ. ამ გამოცემაში ახალი წინადადებისა და საკუთარი სახელების წინ სისტემებზე ძველი მთავრულია ნახმარი. გასაკვირველი არ არის, რომ ახეთ ძნელ ბეჭდვის პირობებში კარგი წამოწყება თანდათანობით მიწვედა და შემდეგ სულ მიწყდა. და, როცა მაინც დიმიტრი ყიფიანმა, ცოტა გვიან, სცადა იგივე ორთოგრაფია გაეტარებინა თავის

6. ამის ნიმუშს მკითხველი იპოვის ჩემს წერილში, რომელიც დაიბეჭდა „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1962, № 9).

7. პირველი სიტყვა („ხედიის“) წითურად არის ნაწერი და ფოტოზე მკრთალად ჩანს.

8. ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვა მოსაგებები საქმეც იყო (წიგნები ყველა ეკლესიის სკიოდებოდა); ამიტომ სინოდის სტამბა ხელიდან არ უშვებდა ამ საქმეს. მხოლოდ გვიან, 70-იან — 80-იან წლებში მოხერხდა მათი ბეჭდვის გადმოტანა თბილისში, ე. ხელაძის სტამბაში.

„ქართულ გრამატიკაში“, იძულებული გახდა ხელნაწერი პეტერბურგს გაეგზავნა და იქ დაებეჭდა მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში (1882).

როცა 80-იან წლებში ოდნავ გაიზარდა მოთხოვნილება ქართულ წიგნსა და უურნალ-გაზეთზე, „დროების“ მესვეურებმა (გ. წერეთელმა, სტეფანე მელიქიშვილმა) გადაადგეს ნაბიჯი, რომელმაც სულ სხვა მიმართულება მისცა ქართულ ორთოგრაფიას. მათ შექმნეს ახალი მთავრულები ბეჭდური მხედრული ასოების მოხაზულობის მიხედვით და შეეცადნენ მის გატარებას „დროების“ ფურცლებზე და ცალკეულ გამოცემებში. მაგრამ წამოწყება ვერ იხერხა, როგორც ეს შემდეგ დროინდელმა ამბებმა გვიჩვენა.

დღეს მართლ სათაურებში თუ იხმარება „დროების“ მხედრული ვენური შრიფტისა და მისებრ სხვა გარნიტურებისთვის დაშვადებული მთავრული, თორემ ტექსტში იგი არსად არ არის. ამიტომ ქართულ წიგნსა და უურნალ-გაზეთს აკლია ის, რაც ევროპული ენების წიგნს მოეპოვება. ჩვენი წიგნი ამ მხრივ მოგვგონებს ებრაელების, ასურელების, არაბებისა და სპარსელების წიგნს, სადაც მთავრულებს არ ხმარობენ. ჩვენი მეზობელი სომხები კი ხანია მისდევენ მთავრულების ხმარებას.

დღეს, როდესაც უკვე მთელი საუკუნეა გავლილი მას შემდეგ, რაც მხედრულის მთავრული შემოიღეს „დროებაში“, ისევ ისმის კითხვა: საჭიროა, თუ არა, ვინმართ მთავრული ასოები, რომელთაც ორთოგრაფიული დანიშნულება უნდა ჰქონდეს ტექსტში? და თუ საჭიროა, რომელი და რა სახისა?

პირველი კითხვის პასუხი ადვილია: მთავრულებს ხმარება ქართულ ტექსტში რომ საჭიროა, ეს უბიძგელია. მართლაც, საჭირო რომ არ იყოს, ამაზე ჩვენში არც ვახტანგის დროს იფიქრებდნენ, არც ერეკლე მეფის დროს, არც მე-19 საუკუნის 20-იან წლებში და არც ახი წლის წინათ, როდესაც „დროების“ გამოცემას შეუდგნენ და საგანგებოდ ვენაში ჩამოსახმვეინეს 1864 წ. მთავრულიანი მხედრული შრიფტი.

მართლ ერთი სახის მცირე ასოები (მინუსკული) რომ საკმარისი იყოს, მთავრულებს არ იხმარებდნენ არც ბერძნები, არც ლათინური შრიფტის მომხმარებელი ერები ევროპა-ამერიკაში (ფრანგები, ინგლისელები, იტალიელები, ჩეხები, პოლონელები და სხვები), არც სლავურ-რუსული შრიფტის მიმდევრები (მათ შორის რუსები, ბულგარელები), არც სომხები. ესენი ხომ ყველანი ჩვენებრ მარცხნიდან მარჯვნივ წერენ!

კეთილი შეიძლება შევთანხმდეთ, რომ მთავრულები ქართულში საჭიროა და სასურველია, რომ მათი ხმარების წესი ისეთი კი არ იყოს როგორც გერმანულშია (სადაც საზოგადო სახელებიც მთავრულით იწყება), არამედ ისეთი, როგორც ეს, მაგ., რუსულშია. საქითხავია მხოლოდ: რომელი მთავრული ვინმართ? შეიძლება მხედრულისთვის მიგვეცვა უპირატესობა, რადგანაც იგი სათაურებში ახლაც იხმარება, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მას ორთოგრაფიული დანიშნულება არა აქვს. მეორე მხრივ, ცნობილი პედაგოგის სილოვან ხუნდაძის მოწაფეებს ახლაც ახსოვთ, როგორი დაუნიებით ასწავლიდა მათ იგი, რომ მთავრული ეხმარათ ორთოგრაფიული მიზნებით. ისიც ფაქტია, რომ დიდი ხნის გამოცდილებამ ვერ გაამართლა ამ მთავრულზე დამყარებული იმედები. ვერ გაამართლა იმეტი, რომ მთავრული ასოები განსხვავებული უნდა იყოს მცირე ასოებისაგან თავის მოხაზულობით, ყველა თუ არა, გარკვეული ნაწილი მაინც. კიდევაც რომ დაბეჭდილ წიგნში გავატაროთ ასეთი მთავრულების ხმარება, ეს მაინც არ მოგვეცემს იმ შედეგს, რაც საჭიროა და, სხვათა შორის, გავრცენას ვერ მოახდენს ხელით ნაწერი ტექსტზე (ხელნაწერებშიც ხომ საჭიროა მთავრული!). ამიტომ სხვა გზა უნდა ვეძიოთ.

კაცმა რომ თქვას, საძიებელიც არაფერია. ეს გზა დიდი ხანია მიგნებულა, მთავრულები გვაქვს და მათ წარმატებით იყენებდნენ, რამდენადაც შეე-

ძლოთ ან ტექნიკურად მოსახერხებელი იყო, მე-18-სა და მე-19 საუკუნეში.

დღეს აღარა ვართ ისე ღარიბნი, რომ სტამბები ვერ მოვამარაგოთ ქართული შრიფტების ნაირნაირი ასორტიმენტით. მეფის მთავრობის დროს ჩაკვდა კარგი წამოწყება და დიდი ოქტომბრის ეპოქაში უნდა გამოსწორდეს გამრუდებული საქმე.

ურემი რომ გადაბრუნდებოდა, გზა მას უკან გამოჩნდებოდა. ქართული მთავრულების საკითხში ცხადია, თუ რომელია ეს გზა. უნივერსიტეტმა შარშან გამოსცა ჩემი „ვეფხისტყაოსნის“ „საქითხავი“, წელს კი კრებული „ორიონი“, რომელშიც სწორედ ის ორთოგრაფიაა გატარებული, რომელზედაც აქ მოგახსენებთ. ამ წიგნების მაგალითზე მკითხველი დარწმუნდება, რომ ძველი ქართული მთავრული დღესაც მშვენივრად გამოდგება ქართულ წიგნსა და უურნალ-გაზეთში.

კი, მაგრამ ეს მთავრულიც ხომ არ გაამართლა ისტორიამო — შეიძლება მკითხოს ვინმემ. ამაზე უნდა მოგახსენოთ შემდეგი ამბავი, რომელიც გმონია, ფართო საზოგადოებისთვისაც იქნება საინტერესო.

ისტორია ხშირად მრუდი გზით წარმართულა, კარგ წამოწყებას ზოგჯერ დიდი დაბრკოლება შეხვედრია და სწრაფად და ადვილად ვერ გაუკაფავს გზა, ვერ დამკვიდრებულა ცხოვრებაში. ამისი უბიძგელი და ცხადად დამამტკიცებელი საბუთია ეგრეთ წოდებული „არაბული ციფრების“ გავრცელების ისტორია ევროპაში და ჩვენში.

არაბული ციფრები, როგორც ცნობილია, ინდოეთშია პირველად შექმნილი. არაბების დევნილი მხოლოდ ამ ციფრების გავრცელებით განისაზღვრება, მაგრამ ისეც დიდი საქმეა და გასაკვირველი არ არის, რომ ევროპაში მას „არაბულის“ სახელით იცნობენ.

უთუოდ გენიოსი იყო ის კაცი, რომელმაც პირველმა მიავნო, რომ საკმარისია ათი ნიშანი, რომ დაიწეროს ყოველგვარი რიცხვი, უდიდესიც კი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნიშნების ადგილმდებარეობას მიეცვა უურაღებია და დავთქვამთ, რომ პირველ ადგილზე ბოლოდან ერთეულის აღნიშვნედი ნიშანი წის, მეორეზე ბოლოდან — ათეულისა, მესამეზე ისევ ბოლოდან — ასეულისა, მეოთხეზე — ათასეულისა და ასე შემდეგ; თანაც, სადაც გვაკლია ერთ-ერთი რიგი (ერთეული, ათეული, ათასეული თუ სხვა), იქ ნული ჩაიხსება, რომელიც არაფერს ნიშნავს. აბა რა შეედრება ამ მშვენიერ სისტემას, რომელიც დღეს საყოველთაოდ გავრცელებულია რიცხვების გამოხატავად კაცობრიობას ბევრი სხვადასხვა ხერხი მოუგონებია, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი შეუქმნია. ნულის მოგონება და რიგის გამოყენება რიცხვების დასაწერად უბრწყინვალესი მომენტია კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. განა შეიძლება შეიძლოს რიგების გამოხატვის არაბულ სისტემას სხვა რომელიმე, ვთქვათ, რომაული? ვერა, ვერ შეედრება.

მართალია, რომაული სისტემითაც არ არის საჭირო ბევრი ნიშანი, იხმარება რამდენიმე (I, V, X, L, C, D, M, რომლებიც აღნიშნავენ შესაბამისად: ერთს, ხუთს, ათს, ორმოცდაათს, ასს, ხუთასს, ათასს), მაგრამ რა რთულია მათი გამოყენების წესები, აი თუნდაც ოცის ფარგალში: I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII, XIII, XIV, XV, XVI, XVII, XVIII, XIX, XXI წლებადღელი წელი რომ დაიწეროს რომაული სისტემით, საჭიროა 8 ნიშანი (MCMLXVII), რომელთა მნიშვნელობა ასეთია: ათასი (M), ასი რომ აკლდეს ათასს (CM), ორმოცდაათი (L), ათი (X), ხუთი (V), ერთი (I) და ერთი (I). ყველა ესეი ქულმად, რა თქმა უნდა, ათას ცხრაას სამოცდა შეიღს გვაძლევს, მაგრამ აბა რა შედარებაა, რომ არაბული სისტემით მარტივად დაიწეროს იგივე რიცხვი 1967!

არაბული ციფრების ხმარება რომ ბევრად სჯობს რომაულს, ეს ცხადზე უცხადებია დღეს ჩვენთვის, მაგრამ აბა ერთი მკითხეთ პროფ. არჩილ ხარაძეს,

ან ვინმე სხვას, ვინც შთაბრძნის ისტორიას კითხვას რომელიმე უმადლეს სასწავლებელში და ის ვამბობს, თუ რა ზრდას დასწავლა არაბულ ციფრებს ევროპაში მაგრამ, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რომელსაც უწევდნენ რომაული სისტემის მიმდევრები არაბულ სისტემას, უკანასკნელმა თანდათან გაეკავა გზა და დამკვიდრდა საბოლოოდ.

ვაშობს, საბოლოოდ, მაგრამ რომაულ ციფრებს ვანა არ ვხმარობთ ჩვენც, ხანდახან მაინც, მაგალითად, საუკუნეების აღნიშვნადაც ან წიგნის ტომის დასახელებლადაც ვხმარობთ: XIX საუკუნეში, ი. ჰაეკევაძის თხზულებათა IV ტომი და მისთ... ევროპაში დღესაც აქა-იქ ზოგჯერ წიგნის ბეჭდვის თარიღიც რომაულად გამოყავთ. რაღა შორს წავიდეთ, მე მაქვს პროფ. ალფრედო ტრომბეტის წიგნი ეტრუსკული ენის შესახებ, რომელსაც თარიღად MCMXXVIII წელი უნის. ანა სად ცხრა-ნოინაინა რიცხვი, სადაც ნიშნებს გარკვეული, ყოველთვის ერთი და იგივე რიცხობრივი მნიშვნელობა აქვთ, და სად თხზიანი 1928, სადაც რიგი არკვევს, თუ რომელი ციფრი რამდენს ნიშნავს. მაგ., ნიშანი „2“ თუ პირველ ადგილზეა ბოლოდან, ორია, მეორე ადგილზე თუა, ოცია (22) შესაძლებელი თუა, ორასია (222); მეოთხეზე თუა, ორი ათასია (2222) და ასე შემდეგ. აი ამ მარტივმა სისტემამ ძლივს გაეკავა გზა ევროპაში, მაგრამ გაეკავა მაინც.

ევროპას თავი დავანებოთ და საქართველოს მივხედეთ. არაბული ციფრები ჩვენში უკვე მე-10 საუკუნეში ყოფილა გავრცელებული, როგორც ამას გვიჩვენებს ერთი ხელნაწერი („დავითნი“, A-28 ხელნაწერთა ინსტიტუტისა), რომელშიც არაბული ციფრებია ჩამოწერილი.

დ 4, 5 5, 3 6, 7 7, 8 8, 9), მეორე ცხრა — ათეულებს (0 10, 1 20, 2 30, 3 40, 4 50, 5 60, 6 70, 7 80, 8 90), შემდეგი ცხრა აღნიშნავს ასეთეულებს, კიდევ შემდეგი — ათასეულებს, რჩება ოცა მერჩვიდმეტე ასო, ობი, ანუ ბერძნული უკანასკნელი ასოს (ომეგის) ქართული შესატყვისი, რომელიც ათი ათასს აღნიშნავდა (ეს ასო და რამდენიმე სხვა დღეს აღარ გვხვდება. სალიტერატურო ქართულში გვყავის 88 ასო). ეს სისტემა ბევრად სჯობს რომაულს (წლივანდელი წელი, მაგ., ასე დაიწერება: ჩხაზ), მაგრამ იგიც ერთობ უსრულია და არაბულ ციფრებს ოდნავად ვერ შეედრება. მიუხედავად ამისა, უარყვეს უფრო კარგი სისტემა, რომელიც იხ-ის იყო ფესვს იყიდებდა ჩვენშიც, და დაუბრუნდნენ ასობს.

ამაში გადაწყვეტი მნიშვნელობისა იყო, ალბათ, სარწმუნოება. ციფრების სმარტებაში ქრისტიანობის დამცველმა სასულიეროებამ უთუოდ დაინახა მამადიანიური კულტურის გავლენა და შეეცადნენ მის ამოფხვრას და ამოფხვრეს კიდევ. მოხდა ის, რაც არ უნდა მოხდარიყო და კვლავ ასობით განაგრძეს რიცხვების წერა, რაც საუკუნეთა მანძილზე იყო გაბატონებული.

მხოლოდ სულხან ორბელიანმა ამოიღო ხმა თავის „ნაწიანის“ სახელმძღვანელოში: რად არ ვხმარობთ ნულასაო? მან ჩამოწერა ციფრები, მიუწერა მათ სათანადო ასობები, რომ ეს უცნობი ციფრები გასაგები გაეხადა ყველასთვის (1 ბ, 2 ბ, 3 ბ და შემდგომი) და მიაწერა: „ესე ნულა ყოველთა რიცხვთა და ანგარიშთა უმჯობესია. ყოველი ქრისტიანენი, ანუ ჰურანი, ვინა წარმართნი არს მიერ რიცხვნი. ქართულთა მიკვირან, რად არ დასჭვრიდეს, ანუ წმიდათა მამათა დაუტყვისო“.

ნულა (იტალ. nulla) არის იგივე ნული (ლათ. nullus „არაფერი“), რომელსაც არაბულად სიფრი ჰქვია. უკანასკნელი ის სიტყვაა, რომელმაც მოგვცა „ციფრი“ ანუ „ციფრი“.

სულხანის გავრცელება და გულისწერა საბარათიანი იყო. მართლაც, როგორ მოხდა, რომ მე-11 საუკუნეში არაბულ ციფრებს ტარებულად კი სმარტდნენ ჩვენში და სულხანის დროს კი ჩვენში აღარადა სულხანის დროს ევროპაში დიდი ხნის განმტკიცებული იყო ნოლას სმარტება (ი. ი. ციფრებისა) და ჩვენში კი რიცხვების გამოხატავად ისევ ასობების სმარტებას მიხედვდნენ.

სულხანმა არაბული ციფრების სმარტების საკითხი თიერათული მსჯელობის სფეროდან პრაქტიკულ ნიადაგზე გადაიტანა და, როცა მან ქართული მნიშვნის წიგნები დამუშავა, მუხლებს სათვალავად არაბული ციფრები გამოიყენა, როგორც ეს ამის სომხურ ბიბლიაში, რომელიც ამსტერდამს (ბოლანდიაში) დაიბეჭდა 1666 წელს. სულხან ორბელიანის ამ პროგრესულ საქმიანობაში შეუძლია ყველას დარწმუნდეს, თუ ჩახედავს მის მიერ გამოსაცემად მომზადებულ ტექსტს წინაწარმეტყველებიას, რომელიც თბილისში დაიბეჭდა ვახტანგის დროს, მაგრამ არ გამოსულა, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ სამა ცალმა (ერთი მათგანი დატყუდა უნივერსიტეტში ამ ნომრით: F, 19578). მაგრამ შემდეგ, როცა ბაქარმა ქართული ბიბლია გამოცა 1748 წ. მოსკოვში, იქ მუხლებს სათვალავად ისევ ქართულ ასოებს დაუბრუნდნენ.

ასობით რიცხვების აღნიშვნამ ჩვენში მოატანა თვით შეტყობვეტი საუკუნეების, როდესაც მოხდა გარდატეხა ამ საკითხში და თანდათანობით არაბულ ციფრებზე გადავიდეთ. მაგრამ მაინც დამახასიათე-

9. ანბანი, პირველად სასწავლო ყრმათათვის: სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. სოლომონ იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი 1949, გვ. 7.

ბელია, რომ ქართული ბიბლია რომ გამოცა ორ ტომად თბილისში 1864 წ. მხედრული ასობით, მასშიც ასობები ისმარტეს თავებისა და მუხლების სათვალავად. ასე ძლიერი იყო ჩვეულება, რომელიც საუკუნეობით იყო განმტკიცებული!

საზოგადოდ ჩვეულება რომ ძლიერი ფაქტორია ერის ცხოვრებაში, ამას ბრძნული ანდაზაც ადასტურებს: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“ ამასვე ჩივის დიდი რუსი პოეტი, როცა ამბობს:

К чему бесплодно спорить с веком?
Обычай — деспот меж людей.
(«Евгений Онегин»).


მაგრამ ნიშნავს ეს, თუ არა, რომ მუდამ ჩვეულების ტყვედ უნდა დავჩიქოთ? რა თქმა უნდა, არა! თუ იგი ცუდია, მავნებელია, ჩამორჩენილობის მაჩვენებელია, უნდა უკუვაგდოთ, მოვიშროთ და უფრო პროგრესულს მივტყვევოთ.

ეს ამბავი არაბული ციფრების გავრცელების შესახებ იმითმ მოვიყვანე, რომ მკითხველი დარწმუნდეს, თუ როგორ შეიძლება კარგი წამოწყება ვერ განსორციელდეს, ძირი ვერ გაიფხვას, უღროოდ დაქვანეს და მოისპოს, თუ ძლიერი მოხარული არა მყავს.

ამიტომ არ არის გასაკვირველი, რომ მე-18 საუკუნეში კარგად მოაზრებული და რიგიანად დაწყებული საქმე მე-19 საუკუნეში ვერ განვითარდა და თანდათანობით მივიწყებულ იქნა იმდროინდელი სოციალ-პოლიტიკურისა, ეკონომიურისა და კულტურული ვითარების გამო: არ იყო ქართული სკოლები, არ იყო კარგი სტამბები, წიგნის გამოცემა და გავრცელება ჰერადა, მცირე იყო ნასწავლი ხალხი, ინტელიგენტთა მცირე რიცხვიც ძალიან შეთხელდა 1882 წლის მდარი პოლიტიკური ნაბიჯის გამო. ამიტომ ქართული წიგნის რიგიანად ბეჭდვის საქმე ძალიან შეფერხდა და არ იქნა და არა მისი სათანადოდ წარმართვა და ფხვნი დაუყენება. დანებულსა და სწორ გზას ამცდარი ხალხს, თანაც ეკონომიურად წელში გატეხილს, რა შეუძლია? ანთ პირობებში არა თუ მცდარი, არამედ გზის ამრევიც კი აღმოჩნდა „დროების“ რედაქციის ცდა. შეიქმნა ახალი სახის მთავრულები მხედრულის მოხაზულობის მიხედვით, რადგანაც ამ ცდამ ძველს კი ჩახწილა, მაგრამ ახალი ვერ დაამყარა.

მთავრული ასობები საზოგადოდ ხაზს შემოთ იწერება და იბეჭდება და ნაბეჭდში ყველა ერთი ზომისა სიმაღლით. ჩვეულებრივი მხედრული კი ბუნებრივად ოთხი ზომისაა სიმაღლით: შუაზე საწერო (ა, ი, თ), საზედაობები (მ, ნ, რ და სხვა), საქვედაობები (გ, ე, ვ და სხვა), მთელი სიმაღლისა (ქ, წ, ჰ). მთავრულად გადაკეთებამ შოთხთხოვა, რომ ოთხივე ზომის ასობები ერთ ზომაზე დაეყვანათ. ამიტომ შუაზე საწერ ასობებს სიმაღლე მოუმატეს, გაწილეს და საზედაობებს გაუსწორეს, საქვედაობებს ადგილი უცვალეს და საზედაობებს ამოყვენეს გვირდში, მთელი სიმაღლის ასობები დატყუაბეს და საზედაობების ოდენა გაქაღეს. ამით მშვენიერი ქართული მხედრული ასობების პროპორციები დაირღვა, ასობები, დაუსწოვდა და ძნელი საკითხავი გახდა. მაგალითად: ქება — ქება.

ამნაირი მთავრულებით ინტეგრებოდა „დროება“ და სხვა წიგნებიც, ი. გოგებაშვილის „მუნების კარიც“ კი. მაგრამ ი. გოგებაშვილი მაინც მხედრულად დადგინდა არ უშვებდა ძველი ასობების ცოდნის საპროგრესო საც და „დედა ენაში“ ათავსებდა მათ. ამანაც ვერ უშვებდა საქმეს და თანდათანობით ძველი ქართული ასობები დაავიწყდა ხალხს და მხოლოდ სუცებს შემჩნათ იგი საეკლესიო წიგნებისთვის. მაგრამ ეს ასობები სუცების კუთვნილება კი არ არის, არამედ მთელი ქართველი ერისა, იგი „სუცური“ კი არ არის არამედ ძველი ქართუ-



კიდევ უფრო მაჩვენებელია წარწერა ბაგრატის ტაძარზე ქუთაისში, სადაც თარიღი არაბული ციფრებით არის გამოყვანილი.

ქართული ასობების სისტემა
???

აქ იკითხება: ოდეს გ(ა)ნმტკიცნა იატ(ა)კი, ქარ(ონი)კ(ონ)ი იყო 228. ეს ქრონიკონი უდრის 1008 წელს (780 + 228 = 1008). აქ, მასხადაძე, ციფრის ადგილმდებარეობას მნიშვნელობა აქვს: პირველი ბოლოდან ერთეულს აღნიშნავს, მეორე — ათეულს, მესამე — ასეულს. რაი არაბული ციფრებით აღნიშნეს ტაძრის იატაკის დაგების წელი, ე. ი. ტაძრის დასრულება, ეს ნიშნავს, რომ არაბული ციფრების სმარტება ჩვენში ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა მე-11 საუკუნის დასაწყისში. უთუოდ ძალიან სახამაფონო ამბავია, მაგრამ ეს მშვენიერი წესი რიცხვის გამოხატვისა მადე შეწყდა ჩვენში და ისევ ასობების სისტემას მიუბრუნდნენ, რომელიც ჩვენმა ძველებმა, ალბათ, ბერძენებისგან ვადმოიღეს. ასობით რომ რიცხვები იწერებოდა, ყველა ასოს თავ-თავისი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს: პირველი ცხრა აღნიშნავს ერთეულებს (ბ 1, ბ 2, ბ 3,

ლია: ხუცებს უნდა გამოვსტაცოთ უკანონოდ მითვისებული და ჩვენ მოვიხმაროთ ქართული წიგნის საჭიროებისათვის.

იყო დრო, როცა არ გვეცალა ძველი არქიტექტურული ძეგლების მოსავლელად, რის გამოც ზოგი ისტორიული ძეგლი, სამწუხაროდ, დაგვიღუბა. მაგრამ დღეს ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები აღრიცხულია სახელმწიფოს მიერ და ვუვლით, ვიცავთ, და, შეკეთება თუ სტილიზაცია, საპროექტო და მონიტორინგით ვაძლევთ სახელმწიფოს. ამ მიმართულებით ბევრი კი საქმე გაკეთდა: მაგ., ბაგრატიონების ნანგრევებს ქუთაისში აქა-იქ გამოუშენეს სუსტი ადგილები, რათა ის შანცე შეეუნახოთ მომავალს, რაც ვადაურჩა ოსმალეთის ნგრევას და ადგილობრივი მოსახლეობის უკუწარმოებას (დანგრეული ტაძრის ქვები მშენებლის საშენი მასალა იყო და მიეწოდებოდა). ეს ზრუნვა სახელმწიფოსი დიდად დასაფასებელია. ჩვენ ეს ტაძარი და ბევრი სხვა ასეთი გვეპირდება ჩვენი ისტორიის უტყუარ საბუთად: მით ვეცნობით ჩვენს წარსულს და ვსწავლობთ ჩვენი ისტორიის გარკვეულ ნაკვეთს. თვით ამ ძეგლის ნახვა ბევრად მეტს გვეუბნება, ვიდრე მისი აღწერილობა და ფოტოსურათები და ვახაკვრველი არაა, რომ ექსკურსანტებო ყოველი მხრიდან მტანებთან ვუცქერით მის მძლავრ კედლებს და მშენებელ სარკმლებს, ჩამოვადრინდ, იშვიათი ხელოვნებით მოჩუქურთმებულ სვეტის თავებს და ვტკბებით ჩვენი ძეგლების გამჭვირავი გონებისა და მშრომელი ხელების შექმნილი ძეგლით, გვიხარია და თავი მოგვავს, მაგრამ ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე რომ წარწერა არის შემორჩენილი მე-11 საუკუნის დასაწყისისა, იმას კი ვერ ვცნობთ. თურმე, ქართული ყოფილა და ის ქართული წარწერა რომ შემადგენელი ნაწილია თვით ამ ძეგლისა! და რანაირად დავაფასებთ მთლიანად ძეგლს, თუ მისი მნიშვნელოვანი ნაწილია არაფერი გვესმის?

ჩვენ გვმართებს პატივისცემა ჩვენი წინამორბედების მიერ შექმნილი კულტურული სიმდიდრისა, რომელშიც ჩვენი ანბანი უბრწყინვალესი მარგალიტია. ჩვენ თავს ვიდრეც შოთას გენიოსური ქმნილების წინაშე, ვამაყობთ უკვდავი „ვეფხისტყაოსნით“, მაგრამ რუსთველი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ შევიდოდა საუკუნის შემდეგ ქართველ განათლებულ კაცს გაუჭირდებოდა ცნობა, თბილისში მდებარე ლურჯი მონასტრის საყდრის კარის თავზე მოთავსებული მისდროინდელი ქართული წარწერისა და საკამათოდაც კი ვახდებოდა საკითხი: რაში გამოსადგება ძველი ქართული ასოები! შოთას დროინდელი წახვალბა ხალხმა ძველი ასოებიც კარგად იცოდა და ახალიც, საჭიროების მიხედვით იმასაც ხმარობდნენ და ამასაც, შოთა რუსთველი დიდად გაიხარებდა, რომ გაეგო, თუ რა დიდი ამბით გადავიხადეთ შარშან საყოველთაო ეროვნული დღესასწაული მისი დაბადების 800 წლის თავის გამო, მაგრამ ეწყინებოდა, რომ გაეგო, რომ წერა-კითხვის მცოდნე ქართველი კაცი ვერ კითხულობს მისი იერუსალიმური სურათის წარწერას, სადაც „რუსთველი“ იკითხება, ეს სურათი ხომ მასობრივად გავრცელდა ხალხში!

მთავრული ასოები უნდა განსხვავდებოდნენ მცირე ასოებისაგან თავისი მოხაზულობით. რამდენადაც უფრო განსხვავებულია მთავრული ასოები მცირეებისაგან, მით უფრო იდეალურია ანბანი: ლათინურში განსხვავებულია ასოების ნახევარი,

ბერძნულში — ორი მესამედი (24-დან 16), ქართულში დიდი უმეტესობაა განსხვავებული, მაგრამ განა ჩვენი ბრალია, ასე რომ მოხდა? ეს ქართული წერის განვითარების ბრალია და ამის გამო ხომ ვერ ვიტყვით უარს მათ გამოყენებაზე!

სიყვარული და პატივისცემა ქართული განათლების ძირითადი საშუალებებია — ნაწერი და ნაბეჭდი წიგნისა — მაძულებს, ჩემი აზრი მოვასხნო ურნალ-გაზეთის მკითხველებს და ვუჩირო: „ნუ დაგვადებს ძველსა გზასა, წუცა ძველსა მეგობარსა“.

როგორც ჩანს, საზოგადოების ერთი ნაწილი სრულიად მცდარი შეხედულებისა საქმის ნამდვილი ვითარების შესახებ მთავრულების საკითხში და არ მივირის, რომ ერთგვარი ჩოჩქლია. ზოგს ერგენება, თითქოს ეს უკანდახევა იყოს, ზოგს კი — ვითომ ძნელი გასატარებელი იყოს ცხოვრებაში, ზოგსაც თითქო გართულება იყოს ქართული ორთოგრაფიისა და ამიტომ შეუფერებელი. არა და არა! მე ხინდისი როგორ მომცემს ნებას, ჩვენ ხალხს ცუდი რამ ვუჩირო! ამ საქმის ცოდნა და გამოცდილება მიკარნახებს, რომ საჭიროა ქართულ ორთოგრაფიაში მცირეოდენი სიახლე შევიტანოთ, რომელიც სიხალისეს შემატებს ქართული წიგნისა და ურნალ-გაზეთის კითხვას და უფრო ადვილად გასაგებს გახდის წაკითხულის შინაარსს, უფრო დაგვაახლოვებს სხვა კულტურულ ერებს. ამისთვის სულ მცირე შრომა დაგვიტრდება, საშუალო განათლების კაცს არა უმეტეს 5-6 საღამოს ვარჯიშობისა, რაც არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ამით მოვიპოვებთ. დიდი მიწნისთვის არ უნდა მოვერდოთ ასეთ მცირე შრომას და გარჯას, რომელიც მალე დაგვაიწყდება, როგორც მშობიარე დედას ავიწყდება საშინელი ტკივილები საყვარელი შვილის შექმნის შემდეგ, როდესაც უკვე დიდი სიხარული დაიხადებურებს ოჯახში.

მე მგონია და დარწმუნებული ვარ, რომ მთავრულები უნდა შემოვიღოთ და, თუ შემოვიდებოთ, უნდა შემოვიღოთ ის მთავრულები, რომლებიც ნამდვილად და ბევრ რამეში გამოადგება ხალხს. მათი შემოღება, უტყველია, ღიდად შეუწყობს ხელს ქართული ენისა და ლიტერატურის შემდგომ განვითარებას და ქართველი ერის გათვითცნობიერებას.

საჭიროა გახედული ნაბიჯის გადადგმა, ამ საქმის საბოლოოდ მოგვარება და ქართული წიგნისა და ურნალ-გაზეთის მკითხველის გახარება. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ კარგი საქმე გავაკეთოთ და მომავალ თაობებთან პირველად არ დავრჩეთ. მე მწამს, რომ ქართველი ერს შესწევს ძალა, თავისი კულტურული მონაპოვარი დაიცვას და განვითაროს ასოები და ცუდი იქნება, თუ საყოველთაო ხმარებაში იქნება, და განვითარდება კიდევ ბეჭდვის ტექნიკურ პირობათა შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა, რომ გამოიცეს სხვადასხვა სახის დამხმარებ ბროშურა და წიგნაკი მთავრულების ჩვენებით; ამას გარდა, აუცილებელია, ბევრად გაუმჯობესდეს ჩვენი საშიფტო მეურნეობა სხვადასხვა საბეჭდი შრიფტის შექმნით. დასაფარავი არ არის, რომ ქართული შრიფტების ასოტიმენტი მეტად ღარიბია და, რომ გამდიდრდეს, აუცილებლად უნდა გამოცხადდეს კონკურსი.

ამ საქმეში მავალითი სომხებმა გვიჩვენეს: როცა ახლოვდებოდა სომხური მწერლობის ფუძემდებლის მესროპ-მშატოცის დაბადების 1600 წლისთავი, რომელიც 1962 წელს უნდა გადაეხადათ (და

გადაიხადეს კიდევ დიდი წიგნით), მათოთხი წლით ადრე (1958 წ.) გამოაცხადეს კონკურსი ახალი შრიფტების შესაქმნელად. მოკლე ხანში მიიღეს 88 პროექტი. აღმოჩნდა, რომ კონკურსში მონაწილეობა მიეღოთ არა მარტო სომხეთის სხრის სპეციალისტებს, არამედ აგრეთვე იმათაც, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქსა და საზღვარგარეთ ცხოვრობენ (პარიზში, ნიუ-იორკში, ზურნოს-აირისში, კიროში და სხვ.). ამ პროექტთაგან უფრომად გადაარჩია 18 და კონკურსში მონაწილეთ მდებარე ხუთი პრემია: ერთი პირველი, ორი მეორე და ორიც მესამე. მოწონებულ პროექტებს შორის ურევია ლ. საღლიანისა და გ. მნაცკანიანის ნაშუქები. აი, მაგ., როგორი შესახედაობისაა სომხური მთავრული შრიფტი, რომელსაც სახელად „პეტაკან“ ჰქვია და რომელიც შექმნა ლიბარტი საღლიანმა:

Ա Բ Գ Դ Ե Զ Է Ը Թ Ծ Խ Լ Խ Կ Լ Զ Ը Կ
Յ Լ Շ Ո Չ Պ Դ Ի Ս Կ Տ Ի Ռ Ի Փ Բ Օ Ֆ

უნდა მოვასხნო მკითხველს, რომ ავტორი ამ შრიფტის შექმნის დროს სარგებლობდა ძველი წარწერებით, რომლებიც ჩვენს მეზობლებს ბლომად მოეპოვებათ მე-5 საუკუნიდან.

ამ სომხურ მთავრულებს არ ჩამოუვარდება ქართული მთავრულები, რომლებიც შექმნა მხატვარმა ა. დუმბაძემ ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით და რომლებიც გამოყენებულია „უნივერსიტეტის“ სახელით ცნობილ შრიფტში.

ქართული მთავრული ასოები

Դ Կ Լ Ծ Դ Ի Խ Կ Լ Զ Ը Կ
Ա Բ Գ Դ Ե Զ Է Ը Թ Ծ Խ Կ Լ Զ Ը Կ
Ի Ը Ս Կ Խ Լ Զ Ը Կ Լ Զ Ը Կ
Ե Ծ Խ Կ Լ Զ Ը Կ
Մ Ի Ը Կ Լ Զ Ը Կ
Մ Ի Ը Կ Լ Զ Ը Կ

განსხვავება სომხურ მთავრულებსა და ქართულ მთავრულებს შორის ის არის, რომ სომხურ ასოებს ყველა ცნობს, ვინც კი სომხური წერა-კითხვა იცის, ქართულ მთავრულებს კი ჯერ ვერ ცნობენ ქართული წერა-კითხვის მცოდნენი და იძულებული ვართ, მნიშვნელობა მივუწეროთ ქვეშ. დადგება დრო, როცა მნიშვნელობის მიწერა აღარ იქნება საჭირო, რადგანაც, იმედი მაქვს, ქართული მთავრულებიც ყველაგან იქნება გამოყენებული ქართულად ნაწერსა და ნაბეჭდ წიგნში. უნდა ვეცადოთ, რომ ეს დრო რაც შეიძლება მალე დადგეს.

საყურადღებოა, რომ როცა სომხებმა კონკურსი გამოაცხადეს, „ჩვენი ამოცანა იყო, — წერს ე. ოპანინიანი, — მოგვეჩვენა ინტელიგენტთა ფართო წრეები, რომ ეს სახელმწიფო და საყოველთაო ხალხური საქმე არ ჩაეკეთილყო რამდენიმე სპეციალისტის ვიწრო წრეში და არ გამხდარიყო მათი მონაპოლია“. ამის წაკითხვაზე არ შეიძლება კაცს არ მოაგონდეს, რომ ახალი ქართული შრიფტების შექმნის საქმე ჩვენში (სპეციალისტების ვიწრო წრეს ვინ ჩივის!) ერთი კაცის მონაპოლიად არის ქცეული წლების განმავლობაში!

თანამედროვეობის რომელ დიდოსტატს ჰყავს ყველაზე მეტი გულშემატკივარი? მე მგონია, მიხეილ ტალს. მისი ქომაგების რიცხვი მილიონებით განისაზღვრება. იგი ერთადერთი მოჭადრაკეა, რომლისათვისაც არ არსებობს „სტევისი მოედნის ფაქტორი“. ყოველ ქალაქში ტალი ისე გრძნობს თავს, როგორც თავის რიგაში. ეს იმიტომ, რომ იგი უხვად აჯილდოვებს გულშემატკივრებს ნაირ-ნაირი კომპინატიებით, წარმტაცი პარტიებით.

ტალი შესანიშნავი მოსაუბრეა. „რიგელი ჯადოქარი“ ერთი იმ იშვიათ დიდოსტატთაგანია, რომელსაც არ გაუჭრბის ეურნალისტებს (ბოტვინიკთან ან ფიშერთან მოხვედრა და ინტერვიუს აღება ხომ უძნელესი პრობლემაა). ახლა კი გთხოვთ გაეცნოთ ტალის შეხედულებებს თანამედროვე ჭადრაკის აქტუალურ საკითხებზე. მსოფლიოს ექსპერტების ესაუბრება ჩვენი მიზომიწიველი გივი გამრეკელი.

როგორ გრძნობთ თავს მსოფლიოს ჩემპიონობის დაკარგვის შემდეგ?

დაახლოებით ისე, როგორც დამარცხებული და კუნძულ ელბაზე გადასახლებული ნაპოლეონი. იგი ხომ ერთი წუთითაც არ ჰკარგავდა იმედს, რომ დაბრუნდებოდა საფრანგეთში და დაამხოდა ბურბონებს.

თქვენი საჭადრაკო კერბი? ემანუელ ლასკერი.

ზოგი სპეციალისტი თქვენ ლასკერს გადარბობს. რას იტყვით ამაზე?

ვფიქრობ, ისინი ცდებიან. თუმცა ერთი მსგავსება მაინც არის. კომენტატორები პარტიების ანალიზის შემდეგ განაცხადებდნენ ხოლმე, რომ ლასკერს უნდა წაეგო ყოველი მეორე პარტია, ჩემზე კი ამბობენ, რომ უნდა წამეგო... ყოველი პარტია!

რა გითხრათ მსოფლიოს ახლანდელმა ჩემპიონმა და თქვენმა ძველმა მეგობარმა ტიგრან პეტროსიანმა, როდესაც მიხეილ ბოტვინიკთან წაგების შემდეგ დაკარგეთ „საჭადრაკო ტახტი“?

იგი მეტად თავისებურად „გამომე-თხოვა“ ცნობილი სიმღერის სიტყვებით: „ჩაო, ჩაო, ბამბინო!“ (იტალიურად „ნახვამდის, ბიჭუნა!“).

რას იტყვით შორის სპასკის შესახებ?

იგი კარგი მეგობარი და „აუტანელი“ მეტოქეა.

თუ შეიძლება დაგვისახელოთ უცხოეთის უძლიერეს მოჭადრაკეთა ათეული?

- 1. ფიშერი. 2. ლარსენი. 3. პორტი-ში. 4. ივკოვი. 5. გლიგორიჩი. 6. რე-შეცკი. 7. ნაიდორფი. 8. უნციკერი. 9. ოლაფსონი. 10. პანო.

იზიარებთ თუ არა ბოტვინიკის, პეტროსიანისა და სპასკის აზრს, რომ რობერტ ფიშერი არის საბჭოთა დიდოსტატების ერთადერთი სერიოზული მეტოქე?

ისინი ამას ასე კატეგორიულად არ იტყოდნენ, ლარსენთან რომ მატჩი ეთამაშათ (თვით ტალმა დიდი ვაივაგლახით მოიგო მატჩი ლარსენთან ანგარშით 5.5:4.5 — გ. გ.).

ახლა უძლიერეს საბჭოთა მოჭადრაკეების ათეული შეადგინეთ?

ძალზე ძნელი სათქმელია, ძალთა რა თანაფარდობაა მათ შორის. ისე კი ათეულში ჩემის აზრით, შედიან მსოფლიოს ჩემპიონი (პეტროსიანი), პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილენი (სპასკი და ტალი), სამი ექტერანი (ბოტვინიკი, სმისლოვი, კერესი), შტეინი, გელერი, კორანო, ბრონშტეინი. ყველა ისინი დაახლოებით თანაბარი ძალის მოჭადრაკეებად უნდა ჩაითვალოს.

საუბარი მისი ცადთან

კმაყოფილი ხართ მოსკოვში გამართული 18 დიდოსტატის ტურნირის შედეგებით, სადაც 2-5 ადგილებზე გაიყავით?

სპორტული შედეგით კმაყოფილი ვარ, პარტიების ხარისხით — არა.

სწორად მიგჩინათ თუ არა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტის შერჩევის ამჟამად მოქმედი სისტემა: მატჩები 8 მეტოქეს შორის?

ეს სისტემა არ მიმაჩნია სრულყოფილად. ყველაზე უკეთესი იქნებოდა მატჩ-ტურნირის ჩატარება ორ წრედ 12 პრეტენდენტს შორის. სხვათა შორის, ეს მატჩი ჩემი აზრით როდი გახლავთ. ასევე ფიქრობენ სმისლოვი, სპასკი და ფიშერი.

როდესაც შარშან გკითხეს ვინ მოგებდა მატჩს პეტროსიანსა და სპასკის შორის, თქვენ უპასუხეთ: „გამიარჯვებს სპასკი, რადგან მე აქამდე მატჩებს მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონებთან ვაგებდი“ ახლა როგორია თქვენი შეხედულება ამ საკითხზე? ვინ შეიძლება შეხვდეს პეტროსიანს?

მე ვიცი, ვინც შეხვდება, მაგრამ არ გიტყვი. თუნდაც იმიტომ, რომ შე-

მდეგ არ თქვან, „ტალს კიდევ ერთი შეცდომა მოუვლდაო“.

როგორი იქნება ჭადრაკის სამყარო რამდენიმე ათეული წლის შემდეგ?

ახლაგზრდა თაობა ინტერესით გაეცნობა ჩემს მემუარებს, დიდოსტატები კი იტყვიან, შეხედეთ, ტალი როგორ სუსტად თამაშობდაო.

რომელია ყველაზე უკეთესი პარტია მთელი თქვენი საჭადრაკო პრაქტიკის მანძილზე?

ასეთი ჭერ არ მითამაშია, ყოველი პარტიის წინ ვფიქრობ: „დაე, ეს იყოს საუკეთესო დღემდე გათამაშებული შორის“, თუმცა ვინ იცის...

მაშ ასე, მსოფლიოს პირველობისათვის ემზადებით?

ენახოთ. ადრე როდესაც ბოტვინიკთან მატჩ-რევანში წავაგე, ვამბობდი: „ხომ იყო ჭადრაკის სამყარო ბოტვინიკისა და სმისლოვის სამი მატჩის მომსწრე, დაე იგი ბოტვინიკისა და ტალის სამ მატჩსაც მოეწროს“. ახლა, მოგეხსენებათ, მდგომარეობა შეიცვალა.



გამოჩენილი იტალიელი ტენორი ფერუჩიო ტალიავინი ეკუთვნის თანამედროვეობის საუკეთესო მომღერალთა რიცხვს. მისი დებიუტი იმდენად ბრწყინვალე გამოდგა, რომ მუსიკალურმა მიმომხილველებმა უწოდეს „ახალი კარუზო“. „არა, იგი ახალი კარუზო როდი გახლავთ, არამედ ახალი ჭილი!“ — წერდნენ სხვები (ტალიავინი ხმის ტემპრით მართლაც ძლიერ ჩამოგავს სახელოვან ბენიამინო ჭილის). ტალიავინის დღემდე შერჩა „ჭილის მემკვიდრის“ სახელი. იტალიაში თავბრუსდამხვევი კარიერის შემდეგ ტალიავინი მიიწვია ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ-ოპერაში“. ამ ცნობილმა თეატრმა გამოუშვა გრამფირფიტა „12 საუკეთესო ტენორი ჩვენს თეატრში უკანასკნელი 50 წლის მანძილზე“. აქ კარუზოს, მარტინელის, ჭილის და სკიპას მხარს უმშვენებს ტალიავინი.

მაგრამ ტალიავინი დიდხანს როდი შემორჩა „მეტროპოლიტენ-ოპერას“. ამის მიზეზი გახლავთ... ფეხბურთი. საქმე ისაა, რომ სახელოვანი მომღერალი ცნობილი ტიფოზიც არის. „რა აზრი აქვს ნიუ-იორკში დარჩენას და უფეხბურთოდ ცხოვრებას“ — თქვა ტალიავინიმ და იტალიაში დაბრუნდა. მას, რა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებდა ცალკეული, მერობული კლუბების გასტროლები ნიუ-იორკში, რომელსაც დროგამოშვებით აწყობენ ხოლმე ამერიკელი საქმოსნები.

უკვე რამდენიმე წელია ტალიავინი ტურინის საოპერო თეატრში მღერის და „იუვენტუსის“ თავგამოდებული გულშემატკივარია. იგი არ აცდენს ამ გუნდის არც ერთ თამაშსა და საწვერთენელ ვარჯიშს. „იუვენტუსი“ იტალიურად „ახალგაზრდობას“ ნიშნავს, მაგრამ ადრე მას გულშემატკივრებმა „ბებერი ქალბატონი“ შეარქვეს წარუმატებელი თამაშის გამო. წელს, როდესაც „იუვენტუსმა“ უკანასკნელ მომენტში გამოსტაცა ჩემპიონობა მილანის „ინტერნაციონალის“, ტალიავინი სიხარულით ცას ეწია და უფასო, საქველმოქმედო კონცერტი გამართა.


ტურინის ოპერის დირექცია ცუდ დღეში ჩააგდო სახელოვანი ტენორის ასეთმა თავდავიწყებულმა გატაცებამ. ახლა იგი იძულებულია გულდასმით შეისწავლოს იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარი, სანამ საკუთარი წარმოდგენების კალენდარს შეადგენდეს; რა თქმა უნდა, ტალიავინის გა-

მოსვლების დღეები საოპერო თეატრში არ უნდა ემთხვეოდეს „იუვენტუსის“ თამაშის დღეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ტენორს შეუძლია ხალხით გაჭედილი დარბაზი მიატოვოს და ფეხბურთის სანახავად წავიდეს. მისი დასჯა კი შეუძლებელია — სად გინდათ იპოვოთ მეორე ტალიავინი!

ეს კიდევ არაფერი. ვთი თეატრის დირექციას, თუ კი „იუვენტუსმა“ რომელიმე მეტოქესთან წააგო. მეტისმეტი ნერვიულობისაგან ტალიავინის ემართება ე. წ. „ხმის ჩავარდნა“ და იგი კარგა ხნით გამოდის მწყობრიდან. ეს მაშინ, როდესაც მის ყოველ გამოსვლაზე მოხვედრა დიდი პრობლემაა, ტალიავინი ხომ „ჭილის მემკვიდრეა“. თუ „იუვენტუსი“ კარგად თამაშობს, ტალიავინი კარგ ხასიათზეა და დიდებულად მღერის, თუ გუნდი აგებს, თეატრის საღარო ცარიელდება.

ესეც არაფერი. როდესაც „იუვენტუსი“ ქალაქიდან მიემგზავრება, ტალიავინიც უკან მიყვება. რა თქმა უნდა, იმ ქალაქების მუსიკის მოყვარულები, სადაც „იუვენტუსის“ ფეხბურთელები გამოდიან, აღტაცებაში მოდიან, რომ საშუალება ეძლევათ მოუსმინონ ტალიავინის, მაგრამ ადგილობრივ საოპერო წარმოდგენებში მისი მონაწილეობის საკითხი ისევ ტურინელ ფეხბურთელთა წარმატება-წარუმატებლობაზეა დამოკიდებული!

ბ. ზამრეაძე



ქილაშა

გულს გლდანელი • ნისტორი გაბუნია
 2 ნ. გუზარიაშვილი • ფ. გილაშვილი
 3 შილაშვილი • ლეონი ქუთათაძე
 4 გვახარია რუსთაშვილი • ქილაშა მ.
 5 ზურაბა ფანოშვილი • გიორგი ქილაშვილი

ВЪ ДИДУБЪ
 Въ Воскресенье, 13 Юля Состоится Кавказская
БОРЬБА

სართიქალის, ორთაქალის, ავქალის და დიღმის მხრიდან, ქაბუკების მოღვაჯარი, მოღვა ხალხი თბილისიდან. ქაბუკების მოღვისჯარი, ხალხი კელაღ ჩარიგდება, — არა, გლდანელ მოქიდავის წარჩეპაც არ იქნება.

ოთარ ქელიძე

გლდანის მოედანი საქართველოს ყველა კუთხიდან იზიდავდა მოქიდავეებს. ვინ მოსთვლის საიდან არ ჩამოდიოდნენ ამ ხოფელში. გლდანელებს ჯერ ვანო ყიბრიძე, შემდეგ კულა გლდანელმა გაუთქვა სახელი. სალხურო მელექსენი შაირებს გამოსთქვამდნენ თავიანთი საყვარელი ფალავნების შესამკობად:

ნეტავი კიდევ შემეძლოს, რო გადავევლო მთა-ველსა, ლოლადის მუხლი მომება, დავვიდებოდე გლდანელსა. გამოვიდოდე წრეშია, ვაბრიალებდე თვალებსა.

კულას შემდეგ საქიდაო არენაზე გამოჩნდნენ გიორგი ოდიშელი (ქაბუკი). რატომღაც ასეთი ფხვდლონიში ქონდა, მისი მძა ვანო ოდიშელი (რუსკი), ვანო და ტატო მიდელაურები, მიტო სუხიტაშვილი, ვანო წამალაშვილი, ლექსო გელიშვილი და მრავალი სხვები.

რიკუდაივნიანი ორსართულიანი სახლი. აქ ცხოვრობს გლდანის მკვიდრი, პენსიონერი ლექსო გელიშვილი. ლექსო ოთხმოცი წლისაა.

ერთი გენახათ ლექსო პაპა ნახევარი საუკუნით ადრე 1916 წელს მამოლდის წინდა გიორგის ეკლესიის გაღვანში ჩოხის გაუხდელად ექვსჯერ იქიდავა და ექვსჯერვე გაიმარჯვა.

ლექსოს წაგების სიმწარეც ახლავს. ცხრაას ჩვიდმეტ წელს იროდიონ ქილაშვილმა წააქცია. მაგრამ ლექსო პაპა ამახაც სიამოვნებით იგონებს. ოღონდ ქიდაობაზე ელაპარაკე და მთელ დღეს არ მოგიცილდება. ვაღმოდებებს გაზეთებიდან ამონაჭრებს, სურათებს, ლექსებს.

- ეს რა ლექსია, ლექსო პაპა
- ესა იეთიმ გურჯია დაუწერა ვანოსა.

— რომელ ვანოსა
 — ჩვენ ვანოსა, კაცო, წამალაშვილსა.
 და სიტყვა ვანო გლდანელზე ჩამოვარდება.
 ვანო წამალაშვილი-გლდანელის სპორტული კარიერა ისევ იწყება, როგორც მრავალი გლდანელი ფალავნისა. „გლდანის წრე“, შეფურცელთა თხვაგაოდება და მსჯის „შენ დაუა“
 ასპარეზე შედიანდ გამოდიოდნენ ფალავნები. მათ შორის გამოჩნდა შეტყუბა ბიჭო, მკლამსხვილი, ზრგე და მოქნილი.

— გამარჯვა — აუწიეს ხელი.
 ისევ ავიდავებს, ხარბა, მოკვერდი, ატაცი...
 ვანო ისეთი ოსტატობით ხმარობდა ქართული ჭიდაობის ილეთებს, რომ იმდროინდელი ფალავნები აღტაცებაში მოდიოდნენ.

— ახალი ფალავნი ვერჯდება გლდანელისს...
 და მართლაც სახელოვან ფალავნად გაიზარდა ვანო წამალაშვილი.

1918 წელს ცნობილი ფალავნის შაშო ვერძელის ძმამ ირაკლი კახიანიშვილმა ვანო თბილისის ცირკში მიიყვანა. რამდენიმე გამარჯვების მერტ ვანო მტკიცედ დაამკვიდრა საქიდაო ასპარეზეზე. იგი ვაუკუთრად დაუდგა წინ იმდროისათვის სახელგანთქმულ მოქიდავეებს — გიორგი ვარგაშვილს, ილო სვანიდს, ზვიტია საგურამიძეს, იოსებ მეჭვრისხველს, მისა ნახლოველს, თედო წილკნელს, ფილო მუხრანელს. გამარჯვება გამარჯვებას მოხდევდა. 1921 წლიდან მოყოლებული 1925 წლამდე ვანო გლდანელის წამქცივი არავინ მოინახა.

ქილაშა გლდანელი ფალავნისა

1925 წელს პირველად ჩატარდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტკაბადა, რომელშიც ვანოსაც მიიღო მონაწილეობა. ქართულ ჭიდაობაში ვანოს ტოლი არ ჰყავდა და ჩქროს მედალი დაიმსახურა. ვანო წამალაშვილი ხულ ახლახანს გარდაიცვალა. ბოლო წლებში იგი აშიერკავასიის რკინიგზის სამმართველოში მუშაობდა, მაგრამ საყვარელ სპორტს ერთი წუთითაც არ ივიწყებდა, თვალს ადევნებდა სპორტულ ჟურნალ-გაზეთებს, აგროვებდა მასალებს ქართველ მოქიდავეებზე. ხშირად იგონებდა გარდასული დროის ფალავნებს და მათთან შებრძოლების ებიზოდებს.

— თხელელა კაკაბეღთან შერკინება კი იმით და მახსოვდა, რომ გამარჯვებულს იეთიმ გურჯია ლექსი დამიწერა.
 აი ადგილები ამ ლექსიდან:

ლექსის წერა მომინდა, თან დავიწყებ მღერასა, ვანო გლდანელის ქებას გავაგონებ ყველასა. პირფერობით დაწერა ჩემს კალამს არ ხდენია, ფალავნებში პირველი ერთი შევარდენია. თუ ქათამმა ზღვაშია ბანაობა გაბედოს, ისე ვინმე ვანოსთან ჭიდაობა გაბედოს. თუ რომ ვინმე მგოსანი ეთიმ გურჯსა გააქცევს, ისე ვანო გლდანელსა ვერავინ ვერ წააქცევს. ახალგაზრდა ბიჭია წამალანთ ვანია, კულას შემდეგ ვანოსა დარჩა მოედანია.

ახლა ძმები ტატო და ვანო მიდელაურები ვაიხხენეთ! მათაც არა ერთხელ ასახელეს თავიანთი სოფელი.

ტატოს სახელი დიდხანს მქუხდა კაქანის, ფეიშოვის, ვერძელის, ტრუხის ცირკებში. მაგრამ ტატო თავის თავზე ნაკლებად ამბობს რამეს. მშაუე კი დიდი საყვარული და ამავე დროს დიდი ხინანულით მყუდობ:

— ვანო ჩემზე ათი წლით უფროსი იყო. მთელი საქართველო იცნობდა, როგორც უძლეველ ფალავანს. ხან ერთჯან ეპატოებოდნენ საქიდაოდ, ხან

მეორედან. უჭიდავია ქუთაისში, ფოთში, ცხაკაიაში, ზუგდიდში, ბათუმში, გორში... რაც თავი მახსოვს, ვანო არ წაქციულა. მარტო ერთხელ დამარცხდა კლემენტ ზულთან ჭიდაობისას და მაშინაც წინაწარ იგრძნო, რომ დამარცხდებოდა. დამძახა და მთხრა, მაგონ ამახ ვერ მოუგებო. მე გავამხნევე, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ვანო წააქციეს.

ამის მერე იგი დიდხანს აღარ გამოჩნდებოდა თბილისში. 1918 წელს ირანში წავიდა გახტროფებზე, ეს თუ რა ეს, შეგი აღარ ვცინიანავს.

ამ ოცი წლის წინათ თივის ღრმებს გავყვივი ქიდაქს. სადღაქოში ვიღაც კაცი დამაქცირდა და მითხრა: შენ ვანო მიდელაურისა რა ხარო! მშაუე შეგი. მერტ, იყო რომ ვანო მოკლესო? არა-მფოქი. მაშინ იმ კაცმა, რომელსაც ამბაკო ჭობონელიძეს ეძახდნენ, და რომელიც იმ ხანებში ჩამოსულიყო ირანიდან, მიაშხო: გურჯი ვანოს სახელს მთელ ირანში იცნობდნენო.

ერთ კვირა დიდხანს თივრანის ცირკში შედიანდ აოქფრ უჭიდავებიათ. ვანოს აოქფრე გაუმარჯვია. მაშინ ირანელებს მეთერთმეტე ფალავანი გამოუყვანიათ და დიდრ სანაძღერც დაუდიათ.

გაბრუნებულ ვანოს პირველ შეტაკებისთანავე პერში აუთამაშებია ირანელი ფალავანი. ირანელს ჩურჩულით უთქვამს: არ წამაქციო, თორემ ამაღამ მოკლავენო. ამაზე კიდევ უფრო გამწარებულა ვანო. ძალა მოუკრებია და ბეჭებით დაუცია მიწაზე ირანელი.

იმ დამეს მართლაც ხანჯლით მოუკლავთ ვანო თავისივე ხანჯლით.

გადიოდნენ წლები. კვლავ იზრდებოდნენ გლდანის „ლიქვები მკლამისა“. შორს რომ არ წავიდეთ, შარშაწინ ოქტომბერში ქართულ ჭიდაობაში ჩატარებული პირაღ-გუნდური ჩემპიონატი ჭავისხენოთ. ფინალში 11 გუნდი მონაწილეობდა. გარდაბნის რაიონის გუნდი 8 მოქიდავით წარსდგა, აქედან ოთხი გლდანელი იყო: სპორტის ოსტატი გურამ სიმონიშვილი, მკლარ მაისურაძე, გურამ ბიბილაშვილი და როლანდ ნარიშანიძე. ოთხი გლდანელიდან ორმა — გურამ სიმონიშვილმა და გურამ ბიბილაშვილმა პირველი ადგილი აიღეს, ხოლო როლანდ ნარიშანიძე ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

გიორგი ოდიშელისა და ვანო წამალაშვილის შთამომავალნი ღირსებულად აგრძელებენ მამა-პაპათა ტრადიციას — არავის უდებენ ტოლს ქართულ ჭიდაობაში. სპორტის ოსტატი წაქო მუხიაშვილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონია ჭიდაობა სამბოში და საქართველოს მრავალჯეის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი გურამ სიმონიშვილი საბჭოთა კავშირის პრიზიორი და რესპუბლიკის მრავალჯეის ჩემპიონია, სპორტის ოსტატი ალექსანდრე ოდიშელი საქართველოს ათჯეის ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი გოდერძი გელიშვილი რესპუბლიკური ასპარეზობის პრიზიორია.

სოფელ გლდანის საქიდაო დარბაზში უხვად არის გამოყენილი ვიბრატები, დიპლომები, სიგელები. ისინი დაადებენ გლდანელთა სპორტულ წარმატებებზე. აღსანიშნავია, რომ სპორტში საერთო შედეგების მიხედვით, სოფლის ძირეულ კოლექტივებს შორის, გლდანის სპორტულმა კოლექტივმა პირველი ადგილი დაიჭირა საბჭოთა კავშირში.

უზანანი ზარამიძე

ლარსა და სარსურს

ვინ მოსთვლის თბილისში ჩამოსული რამდენი უცხოელი სტუმარი გაუოცდება იმ ლარსაყვასა თუ ფილმებს, ჭიქებსა თუ ბეჭდებს, საყურეებს, სალამურებს, რომლებსაც ქართული ჭედური ხელოვნების ოსტატები ჰქმნიან; ეს სუვენირები და საჩუქრები საქართველოდან მიაქვთ, როგორც უძვირფასესი რამ სასოვარი.

ცნობილია, რომ ქართული ჭედურობის აყვავების ხანა მეორე მხრეზე საუკუნე იყო. შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელოვნება მეორედ დაიბადა არც თუ დიდი ხნის წინათ, ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, როცა ახალგაზრდა მოქანდაკე ირაკლი ონიანურმა შექმნა თავისი პირველი პატარა ჭედური მედალიონი — ქალის სამკაული. წვრილი ოქრომჭედური ნაკეთობებიდან ჭედურობა ამჟამად გადავიდა მონუმენტურ ფორმებზე. თბილისში ჭედური პანოები ამშვენებენ მუსიკალური კომედიის თეატრის ფოიეს, ქორწინების სასახლის დარბაზებსა და თბილისის მეტროპოლიტენის სადგურებს.

ამ დარგის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია მხატვარი მარკლენ ქუთათელაძე; მან ჯერ კიდევ სამხატვრო სასწავლებელში სწავლის დროს ოცნებად გაიხადა ჩაწვდომოდა ობიექტების ნამუშევართა სტილს, მათს კომპოზიციას, შესრულების ტექნიკის საიდუმლოებას. ამ მიზნით იგი გულმოდგინედ, მთელი საათობით ათვლიერებდა ძველი ოსტატების ქმნილებებს, აკვირდებოდა, ჩანახატებს აკეთებდა. ყოველივე ამან გაამდიდრა ახალგაზრდა

ხელოვანის გემოვნება და დახვეწა მისი ოსტატობა. ამანვე განაპირობა ქუთათელაძის ნამუშევართა მოხატულობის შინა და ღიაობა. იგი თავის ნამუშევრებში ღრმად გადმოგვცემს ეროვნულ ხასკვეთილობას, კომპოზიციის ლაკონიურობას, ფორმის სისადავეს.

მ. ქუთათელაძის სადიპლომო ნაშრომი „ლიქიორის სერვიზი“ ფრიადსე შეაფასეს და უნიკალურ ქმნილებად აღიარეს. იგი ამჟამად ამშვენებს თბილისის სამხატვრო აკადემიის ახლახან ჩამოყალიბებულ სახვითი ხელოვნების მუზეუმს.

მ. ქუთათელაძემ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ოქრომჭედურობის 50-მდე უნიკალური ნამუშევარი შესძინა ქართულ ჭედურ ხელოვნებას.

მოსევადებული სამაჭურები, მომნაქრული ლარნაკები, მოჩუქრთმებული ფილები, მამაკაცის და ქალის ბეჭდები, სამაჭურები, აზარფუშები, არყის და ლიქიორის სერვოზები, ყანწები, მოვერცხლილი სალამურები და სტვირები, შამანურის მალაო წარწერა ჭიქები, ხილის ღამაზი ვაზები, აი ის ნაწარმოებნი, რომლებიც შექმნა ოსტატმა.

ოსტატის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნამუშევარია გენიალური შოთას პორტრეტი, მოჭედილი ვერცხლზე.

ქუთათელაძის ნაწარმოებები ექსპონირებული იყო საკავშირო და საკრთაშორისო გამოფენებზე — მოსკოვში, ლენინგრადში, ბრიუსელში, ლაიპ-



ციგში, ნიუ-იორკში, იზმირში, ვენაში, პარიზში, ტოკიოში და სხვაგან. ქუთათელაძის მიერ მოჭედილი ყანწი ამშვენებს ცნობილი ამერიკელი მწერლის ერნსტ ჰემინგუეის სახლ-მუზეუმს.

თანამედროვეობის სულისკვეთება, დაუშრეტელი ფანტაზია, ორიგინალური გაზრება და ფაქიზი ოსტატობა — აი რა არის მ. ქუთათელაძის ნაწარმოებთა საერთო მოწონებისა და აღიარების საფუძველი.

სიმონ ნაციაშვილი
თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი

ჩრედ-ჩრედი ამაჟამი

არაჩვეულებრივი წებო

სასწრაფო დახმარების მანქანამ ავადმყოფოში მიიყვანა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ფეხი ჰქონდა მოტეხილი. საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია. ქირურგიული იარაღებისა და ძაფის ნაცვლად ექიმებმა ამჯერად წებო გამოიყენეს. ციკლინი — სპეციალურმა რეაქტიულმა ნივთიერებამ — მტკიცედ შეაერთა გადატეხილი ძვალი.

სამედიცინო წებო — ციკლინი, რომელიც ამას წინათ დაამზადა ლევის ფარმაკოქიმიურმა ქარხანამ „რეაქტივმა“, საიმედოდ აწებებს გაჭრილ და გაგლეჯილ ქსოვილებს და გადატეხილ ძვალს.

ათეული წლები უძილოდ

მთელი მსოფლიოს ექიმები დიდ საოცრებად თვლიან იმ ამბავს, რომ 77 წლის შვედს ოლაფ ერიქსონს 47 წელი არ სძინებია. 1919 წელს ერიქსონმა გრიპის მძიმე ფორმა გადაიტანა. ამ ავადმყოფობამ, როგორც ეტყობა, ცვლილებები გამოიწვია საძილე არტერიის და კაცს აღარ შეუძლია დაიძინოს.

რამდენიმე წლის წინ ერიქსონს ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. ექიმებმა ნარკოზის დიდი დოზის გამოყენებითაც კი ვერ შესძლეს მისი დაძინება. მიუხედავად ამისა, ავადმყოფი იმედს მაინც არ ჰკარგავს, იგი დარწმუნებულია, რომ დადგება დრო,

როცა გამოჯანმრთელდება და გულიანად გამოიძინებს.

უძილობით იტანება ინგლისელი ედივარდ სიდნეი. 1941 წლის ივნისში მისი საცოლდე სამაერო თავდასხმის მსხვერპლი გახდა. სიდნეი პირადად იყო მოწმი ამ საშინელი ტრაგედიისა, რომელმაც ისეთი თავზარი დასცა მას, რომ სამუდამოდ დაუკარგა ძილი.

უკვე თორმეტი წელია, რაც უძილობით ისევე იტანება 60 წლის ესპანელი მუშა ვალენტინ პოვერა, პორტუგალიელი ალინილო როსა მორიროს კი 20 წელია ერთი წუთითაც არ დაუძინია.

ხანგრძლივი უძილობის გარდა, მედიცინაში ცნობილია ხანგრძლივი ძილის გასაოცარი შემთხვევებიც. პატრიცია მაგუირას 18 წელია გამოუღვიძებლად სძინავს. 1947 წლის იანვარში პატრიციამ თავისი საქმროს დაღუპვის ამბავი გაიგო. შეტრწუნებულ ქალს მთქნარება დაწვებინა. პატრიცია მშობლების რჩევით საწოლში ჩაწვა, მაშინვე ჩაეძინა და წლების მანძილზე აღარ გამოუღვიძია.

კიდევ უფრო გასაოცარი ამბავი შეემთხვა ნორვეგიელ ავგუსტა ლანგარდს, რომელსაც თვალის არ გაუხეულია 1919 წლიდან 1941 წლამდე. ამ ხნის მანძილზე მძინარე ავგუსტას ოდნავადაც არ შეცვლია სახე; როდესაც ავგუსტა ლანგარდმა გამოიღვიძა, ახლობლების თვალწინ სწრა-

ვად დაიწყო დაბერება და ნ წლის შემდეგ სრულიად მოტეხილი და დახსტებული გარდაიცვალა. შედეგად იტანება ჩერ კიდევ ამოუხსნელია ხანგრძლივი ძილისა და უძილობის საიდუმლო.

ვისაც თავისი მოკროი არ ენანება

სოფლად თუ ქალაქად, ყოველგვარ ამინდში შეიძლება ნახოთ თავმომწონედ მიმავალი უქულო ახალგაზრდა; ამბობენ, უქულოდ სიარული მოდააო, მაგრამ ახლა ვიკითხოთ რამდენად სასარგებლოა ეს მოდა?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს მოსკოვის საექიმო-კოსმეტიკური სამკურნალოს მთავარი ექიმი ი. კოლგუნიენკო.

— უკანასკნელ ხანებში ბევრი ახალგაზრდა მიმართავს ექიმებს ფხვნით, შეუჩერონ თმის გაძლიერებულ ჩამოცივებას. თმის ნაადრევად ჩამოცივების მიზეზი ბევრია. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უქულოდ სიარულს ყინვასა და სიცხეში. ცივი, ნესტიანი ჰაერი იწვევს მკვეთრ სპაზმებს და სისხლის ძარღვების შევიწროვებას. ხანგრძლივი გაციება არღვევს სისხლის მიმოქცევას, და მაშასადამე, თმის ნორმალური კვებასაც. ამის შედეგად თმა თანდათან კვდება და ჩამოცივებას იწყებს.

ცნობილია, რომ გამოცდილი სპორტსმენები დისტანციაზე სპორტუ-

ლი კოსტუმებითა და მსუბუქი, ნაქსოვი ქუდეებით გამოდიან. როცა ადამიანს თბილად აცვია, ხოლო თავი შიშველი აქვს, ეს სხეულის გაკუთებას კი არა, გაციებას იწვევს. განსაკუთრებით საშიშია თმისათვის ადრეული გაზფხულის მოჩვენებითი სითბო. ამ პერიოდში ჰაერი ტენიანია, თმა ხარბად იწოვს ტენს, შემდეგ ორთქლდება და უფრო მეტად აციებს თავის კანს. სხეულის ერთი ნაწილის გაციება არღვევს სითბოსცვლის წონასწორობას, სისხლის ნორმალურ ცირკულაციას და საბოლოოდ იწვევს თმის ნაადრევად ჩამოცივებას.

თბილ ამინდში უქულოდ სიარული არა მარტო შეიძლება, არამედ საჭიროცაა. თმისათვის მეტად სასარგებლოა ზომიერი სითბო, სინათლე და ჰაერი. ზაფხულის პანაქება სიცხეში კი სიფრთხილეა საჭირო. მცხუნვარე მზე ვნებს თმას; თმა ხდება მწარლი, უსიცოცხლო, ადვილად მტკრევალი. ზაფხულის სიცხეში ისევე როგორც ყინვაში, თმის შენარჩუნებისათვის აუცილებელია ქულის ტარება.

კოსმოსი და მიკრობები

კოსმოსი და მიკრობები? — შეიძლება ბევრმა გაიკვიროს, რა კავშირი შეიძლება იყოს მათ შორის, მაგრამ ერთი ციური სხეულიდან მეორეზე მავნე მიკროორგანიზმების შე-

ტანის თავიდან აცილება ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა თანამედროვე ასტრონავტიკისათვის.

მწერალი ჰერბერტ უელსი სიმართლესთან ახლოს იყო, როცა თავის რომანში „სამყაროთა ბრძოლა“ საინტერესოდ აღწერდა მარსზე მცხოვრებ არსებობა დალუპავს დედამიწიდან შეტანილი მიკრობებით. მართალია, მარსზე სიცოცხლის არსებობაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ნაადრევია. მაგრამ იქ მართლაც შეიძლება არსებობდნენ რაღაც ორგანიზმები, რომლებსთვის საშიში იქნება დედამიწიდან შეტანილი მიკრობები. მეორე მხრივ, დედამიწაზე არსებული სიცოცხლის ფორმებისათვის შეიძლება ასევე საშიში აღმოჩნდნენ ის მიკროორგანიზმები, რომლებსაც აქ თავისდაუნებურად ჩამოიტანენ მთვარიდან ან სხვა რომელიმე პლანეტებიდან დაბრუნებული კოსმონავტები.

მენციერები დღეს უკვე ბევრს ფიქრობენ და მუშაობენ იმაზე, თუ როგორ ავიცილოთ მიკროორგანიზმების შეტანა მიწიდან სხვა პლანეტებზე და პირიქით, სხვა ციური სხეულებიდან დედამიწაზე.

სპეციალისტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ კოსმოსური გაფრენის წინ აუცილებელია კოსმოსური ხომალდისა და აპარატურის სრული სტერილიზაცია. ამ მიზნისათვის ნავარაუდევია გამოიყენონ თერმული დამუშავება. აპარატურას და კოსმოსურ ხომალდს დიდი ხნით ამყოფებენ მაღალ ტემპერატურაში, რომლის დროს ყველა მიკრობი დაილუპება.

მთვარიდან მიწაზე დაბრუნებულ კოსმონავტებს შეხვდება სპეციალური ჯგუფი. ეს ჯგუფი დეზინფექციას გაუკეთებს კოსმოსურ ხომალდს, მასში განლაგებულ აპარატურას, კოსმონავტების ტანსაცმელსა და მთვარიდან წამოღებულ სინჯებს.

მიწაზე დაშვების ადგილიდან კოსმონავტებს წაიყვანენ არა საზეიმო შეხვედრაზე, არამედ კარანტინში, სადაც ისინი რამდენიმე კვირას დაჰყოფენ.

მეცნიერთა წინაშე დიდი ამოცანა დგას: მათ არა მარტო უნდა დაიცვან სხვა ციურ სხეულებზე არსებული სიცოცხლის ფორმების ხელშეუხებ-

ლობა, არამედ საიმედოდაც უნდა უზრუნველყონ სხვა პლანეტებიდან დედამიწაზე მავნე მიკროორგანიზმების შემოჭრა.

საავტომობილო ავარიების პალიტრა

დანიის საგზაო პოლიციის მუშაკებმა საინტერესო გარემოება შენიშნეს: მუქფარად შეღებილი მანქანები უფრო ხშირად ეჭახებიან ერთმანეთს, ვიდრე ღია ფერით შეღებილები.

ერთი შეხედვით აქ არაფერია საკვირველი: მუქი ფერის მანქანა ნაკლებად გამოიყოფა საერთო ფონზე და თანაც სინგლეში ძნელი შესამჩნევია. გარდა ამისა, დაკვირვებამ ნათელყო, რომ არის სხვა, უფრო სერიოზული მიზეზიც: ადამიანს ეჩვენება, თითქოს მუქი ფერის მანქანა უფრო ნელა მოძრაობს, ვიდრე ეს სინამდვილეშია. გარდა ამისა, მუქი ფერის მანქანა გზაზე უფრო შორს გვეჩვენება, ვიდრე ღია ფერის მანქანა — მაშინაც კი, როცა ისინი ერთი და იგივე მანძილით არიან დაშორებული ჩვენგან.

რამდენიმე სპეციალისტს დაავალეს განესაზღვრათ სისწრაფე შავი, წითელი და თეთრი ფერის მანქანებისა, რომლებიც საათში 70 კილომეტრის სისწრაფით მოძრაობდნენ. მათი დაკვირვების საშუალო შედეგი ასეთი იყო: შავი მანქანა 82 კილომეტრი საათში, თეთრი მანქანა — 72 კილომეტრი, წითელი მანქანა — 78 კილომეტრი. მანძილი მანქანებამდე სპეციალისტებმა შესაბამისად შემდეგნაირად განსაზღვრეს: 10მ, 98 და 92 მეტრი.

ამრიგად, მუქი ფერის მანქანების სისწრაფისა და მათი დაშორების მანძილის განსაზღვრისას დაშვებულ შეცდომას ხშირად ავარიამდე მივყავართ.

„ორიგინალური“ კინო-თეატრი

ნიუ-იორკში არსებობს ერთი უცნაური კინოთეატრი, რომელშიც მხოლოდ და მხოლოდ მუნჯ ფილმებს უჩვენებენ: ფილმები უმთავრესად განგსტერთა ცხოვრებას ეხება. დარბაზში, ყოველ სავარძელზე მიბმულია დამბაჩა და კინოფილმის სანახავად

მოსულს, თეატრში შესვლისას, ეძლევა ათიოდე ცალი ვაჭა უტყვიოდ, გატენილი მხოლოდ თოფისწამლით. ფილმის დემონსტრაციის დროს მაყურებელს შეუძლია ჩაერიოს ეკრანზე მომხდარ ამბებში, ატეხოს სროლა, ყიჟინა. ყოველი სენსის შემდეგ აწყობენ ხანგრძლივ შესვენებას დარბაზში დამდგარი კვამლის ვენტილატორებით გასაწმენდად.

ჯარიმა წესების დამრღვევთათვის

ამერიკაში, ქალაქ ნენველის მოსამართლემ ჯეკ მეიმ, იმ ახალგაზრდების დასასჯელად, ვინც ქუჩაში მოძრაობის წესებს არღვევს, ასეთი ჯარიმები შემოიღო: პირველი — წესრიგის დამრღვევს უბრძანებენ დაწეროს ნეკროლოგი თავის თავზე; მეორე — მიჰყავთ მორგზო, რათა აჩვენონ ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად დაღუპული ადამიანის გვამი; მესამე — ავალეგენ ესაუბროს მესაფლავებებს გზებზე მომხდარ უბედურებათა შესახებ და შემდეგ ყველაფერი უამბოს მოსამართლეს.

ამბობენ, რომ მოსამართლის ამ ხერხმა გასჭრა. ქალაქ ნენველში ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევა საგრძნობლად შემცირდა.

„კონკურენცია ამაოა“

ყველამ იცის როდენ ხრიკებს მიმართავენ მეწარმენი რეკლამის მიზნით. ყველას გადააპარბა სიგარეტების დამამზადებელმა ერთმა ამერიკულმა ფირმამ. მისი რეკლამა ასეთი იყო: „ჩვენს სიგარეტებთან ყოველგვარი კონკურენცია ამაოა. ექსპერიმენტის მიზნით ერთი შეკვრა სიგარეტები ჩავდეთ სულ ახლად გარდაცვლილის კუბოში. მიცვალებული მაშინვე წამოადგა, შეკვირიდან გამოიღო სიგარეტი და პირველსავე შემხვედრს სთხოვა ცეცხლის მოკიდება“. როგორც ამბობენ, კომენტარები ზედმეტია.

ადგილობრივი ღირსშესანიშნაობა

დასავლეთ გერმანიაში, ქ. მიუნხენში ოთხმოცდაათოთხმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა ვინმე კარლ შნეიდერი. ამ ამბავს გაზეთები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ და ამით პატივი სცეს ქალაქის „ღირსშესანიშნაობას“. რით იყო ღირსშესანიშნავი შნეიდერის ცხოვრება? თურმე ნუ იტყვით, სამოცდაათი წლის განმავლობაში იგი აჩემებული ქუჩის ერთსა და იმავე კუთხეში იდგა და მოწყალებას თხოულობდა.

ყველაზე ხნიერი

ხეთა შორის ყველაზე მეტი გამძლეობა აქვს მექსიკურ კობარისს. არცთუ იშვიათად იგი ათეულ ათასობით წელს ცოცხლობს. ურთხმელი კი სამი ათას წლამდე სძლებს. მუხა, კეღარი, წაბლი შედარებით ნაკლებ დროს, მაგრამ ზოგჯერ ესენიც ორი ათას წლამდე აღწევენ.

ყველაზე ფართოდ ტოტეგაშლილი ხე ამჟამად ინდოეთის სანაპირო რაიონშია. ესაა ლეღვის ხე, რომლის ჩრდილში ერთდროულად შეიძინა ათასამდე კაცს შეუძლია დაისვენოს.

ყველაზე უფველეს ყვავილად დღეისათვის გერმანიის ქალაქ ჰილდესგეიმში გავრდილი ვარდი ითვლება. იგი დაახლოებით 1.000 წლისაა. ამის მიუხედავად, „მოსუცებული“ ვარდი ყოველწლიურად ლამაზად პყვავის.

შუშუნა წვიმის ხმაზე

იპაონელმა სპეციალისტებმა ელექტრონიკის საფუძველზე შექმნეს ერთგვარი ბალიში, რომელშიაც ჩადებულა პატარა აპარატ: ამ აპარატს შეუძლია გამოსცეს შუშუნა წვიმის მსგავსი ხმაური. ცდებმა დაამტკიცეს, რომ მისდებს თუ არა უძილობით გაწამებული კაცი ასეთ ბალიშზე თავს, ძალიან მალე წყნარი და მავარი ძილით იძინებს.

გ ა რ ე კ ა ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ზ ე: თბილისის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი „ნაკადული“ — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ფოტო თარხან არჩვაძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. ლურშიშიძე, მ. სააკაშვილი, ვ. მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბალა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საბ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოღია. ტექნედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, ვ. მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასახელებად 5/Х-67 წ. გამომც. № 276 ქალ. ზომა 70×108¹/₂, 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79 პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 35.700. შეკვ. № 3668 უე 02247

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ხელისმომხრათა საყურადღებოდ!

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია მომავალი 1968 წლისათვის მკითხველებს ბევრ საინტერესოსა და ახალს პპირდება.

ჟურნალი მოგიტობრობთ საბჭოთა საქართველოს ახალ-ახალ წარმატებებზე, მოგიტობრობთ იმაზე, თუ რა ხდება ჩვენს რესპუბლიკაში — ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმურწეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში, როგორ იბრძვიან ჩვენი ადამიანები სახალხო დოვლათის შექმნისათვის, ახალი ყოფისა და შორალის დამკვიდრებისათვის. ამ თემებს მიეძღვნება ჩვენი საუკეთესო მწერლებისა და ჟურნალისტების ნარკვევები, რომლებიც ილუსტრირებული იქნება მხატვართა და ფოტოჟურნალისტთა ნამუშევრებით.

ჟურნალი გამოაქვეყნებს წერილებს ჩვენი ყოფა-ცხოვრების საკიბრობოთა საკითხებზე. შემოღებული გვაქვს სპეციალური განყოფილება „ყოფის შუქ-ჩრდილები“. ეს იქნება მკითხველთა ერთგვარი კლუბი, სადაც ჩვენ გავუზიარებთ ერთმეორეს ჩვენს ფიქრებს, შთაბეჭდილებებს, რომლებიც აღძვრიან ადამიანს ცხოვრების ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევის გამო.

ჟურნალში დაიბეჭდება ქართველი, მოძმე და უცხოელი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები, სათვალადასავლო მოთხრობები, ხელოვნების ოსტატთა ახალი ნამუშევრები, ნარკვევები ქართველი ხალხის რევოლუციურ წარსულზე.

ჟურნალის ყოველ ნომერში სათანადო ადგილი დაეთმობა უცხოეთის საინტერესო ამბებს, ფართოდ იქნება წარმოდგენილი სპორტისა და იუმორის განყოფილებები.

გ ა მ ო დ ი შ ე რ ა თ

საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო

ჟ უ რ ნ ა ლ ი

„დროშა“

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ და ღირს 30 კაპიკი.

ხ ე ლ მ ო შ ე რ ა :

1 წლით . . . 3 მან. 60 კაპ.
6 თვით . . . 1 მან. 80 კაპ.



6121/196

ИНДЕКС 76056



შემოდგომა.

ხევსურეთი. იალღებზე.



ბახმარო.

ფოტო
თენგიზ ფურცხვანიძისა.

ღარიალის ხეობაში.

